

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 19 თებერვალი. 2024 წ. №20 (9700) ელ. ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

## „სახელმწიფო სახელმწიფოში“




## როგორ დასრულდება „ქართული ოცნების“ და დაუნდობელი ენჯეოების ომი?

იხ. 4 გვ.



## ო, რა ბედნიერები იყვნენ მაშინ!

## თაობებისთვის მისაბაძი პიროვნება

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ლეგენდარული ქართველი სპორტსმენის, ლევან თედიაშვილის გარდაცვალების გამო. ბატონი ლევანი იყო ოლიმპიური თამაშების ორგზის, მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონი — საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი.

ფასდაუდებელია მისი წვლილი ქართული ჭიდაობის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში. არა მხოლოდ თავისი სპორტული მიღწევებით, არამედ პიროვნული თვისებებით, ლევან თედიაშვილი მუდამ იქნება მომავალი თაობისთვის მისაბაძი პიროვნება. ვუსამძიმრებ სახელოვანი სპორტსმენის, ყველა დროის საუკეთესო მოჭიდავეთა დიდების დარბაზის წევრის ოჯახს, ახლობლებს, სპორტულ სამყაროსა და მთელ ქართველ საზოგადოებას.

**ბიძინა ივანიშვილი**

## მან სპორტულ სამყაროში წარუშლელი კვალი დატოვა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე მოჭიდავე ლევან თედიაშვილის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს და ოჯახს სამძიმარს უცხადებს.

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ლეგენდარული მოჭიდავის ლევან თედიაშვილის გარდაცვალების გამო. ლევან თედიაშვილმა, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა ფალავანმა, ორგზის ოლიმპიურმა და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა, შორს გაუთქვა სახელი სამშობლოს და წარუშლელი კვალი დატოვა სპორტულ სამყაროში. სამძიმარს ვუცხადებ ლევან თედიაშვილის ოჯახს, ახლობლებს, გულშემატკივრებს, მთლიანად ქართველ საზოგადოებას.

**ირაკლი კობახიძე**

## ვიზიარებ მთელი საქართველოს გულისტკივილს

მთელი გულით ვიზიარებ ლევან თედიაშვილის ოჯახის წევრების, ქართული სპორტული საზოგადოების, მთელი საქართველოს გულისტკივილს.

როგორც კახა კალაძე აღნიშნავს, ლევან თედიაშვილი იყო მოვლენა არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო სპორტში. ნამდვილი ლეგენდა, თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი, სამგზის ევროპის ჩემპიონი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ქართველი ფალავანი ლევან თედიაშვილი გამოაკლდა ჩვენს რიგებს. ლევან თედიაშვილი იყო მოვლენა, არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო სპორტში. მან ჩემპიონის ტიტული სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში მოიპოვა. მთელი გულით ვიზიარებ ლევან თედიაშვილის ოჯახის წევრების, ქართული სპორტული საზოგადოების, მთელი საქართველოს გულისტკივილს.

**კახა კალაძე**

## ისევ კარიკატურული ვითარებაა!

## ლიდერების შემოსევა







იხ. 3 გვ.

## ირაკლი კობახიძე ილია მეორეს ესტუმრა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს საპატრიარქოში ესტუმრა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ცნობით, პატრიარქმა და პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაზე ისაუბრეს. მათივე ცნობით, პატრიარქმა ირაკლი კობახიძეს თანამდებობაზე დანიშვნა კიდევ ერთხელ მიულოცა.

### საქართველოს პრემიერ-მინისტრი:

## ის პოლიტიკის გროსმაისტერია!



ბიძინა ივანიშვილი წლების მანძილზე უპრეცედენტო საქველმოქმედო მოღვაწეობით ზრუნავდა ქართული კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე, 2012 წელს კი მან განახორციელა უპრეცედენტო პოლიტიკური ქველმოქმედება და უდიდესი რისკის ფასად, ანტიევროპული ტიპის ავტორიტარიზმი დემოკრატიული მმართველობით ჩაანაცვლა.

ბიძინა ივანიშვილი არის საქართველოს პატრიოტი და პოლიტიკის გროსმაისტერი. არაერთხელ აღინიშნა და კიდევ ერთხელ უნდა ითქვას – ის, რომ საქართველოს დღეს აქვს მშვიდობა, დემოკრატია, ეკონომიკური წინსვლა და ქვეყანამ მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, პირველ რიგში, არის სწორედ ბიძინა ივანიშვილის დამსახურება. ბატონ ბიძინა ივანიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს! ვუსურვებ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ყოველივე საუკეთესოს მის გამორჩეულ ოჯახთან ერთად!“, – წერს ირაკლი კობახიძე.

## გიორგი ახვლედიანი:

# როგორ შეიძლება ვინმე ლევან ხაბეიშვილით დააინტერესო!




### საარჩევნოდ, როგორც კი პროცესების რადიკალიზაცია მოხდება, პატარა პარტიები არავის არ ემახსოვრება და „ოცნება" საკონსტიტუციო უმრავლესობას აიღებს!!!

**„ოცნება" 2024 წლის არჩევნებისთვის ხელისუფლებაში არამხოლოდ დაბრუნებას გეგმავს, არამედ საკონსტიტუციო უმრავლესობის აღებასაც. ამის შესახებ პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი ღარიბაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა. მისი აზრით, გამომდინარე იქიდან, რომ ოპოზიცია, ფაქტობრივად, განულებულია და ყველა მათგანი „ნაციონალური მოძრაობის" დღის წესრიგით მოქმედებს, „ოცნება" კვლავ უპირობო გამარჯვებას მოიპოვებს.**

ღარიბაშვილი აცახდებს, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მათი მთავარი მიზანი ძლიერი გამარჯვება, ძლიერი შედეგი და საკონსტიტუციო უმრავლესობაა.

მისი თქმით, მარტიდან, მომდევნო 100 დღის განმავლობაში რეგიონში ჩასვლას გეგმავენ, ათი გასვლითი ღონისძიება ექნებათ და პარტია უნდა მოემზადოს არჩევნებისთვის.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, შეხვედრების მთავარი მიზანი იქნება წინასაარჩევნო კამპანიის მომზადება.

პარტია „საქართველოსთვის" წევრი **ანა ბუჩუკური** ამბობს, რომ თუკი მმართველ გუნდს საპარლამენტო არჩევნებზე საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების იმედი აქვს, მაშინ **ბიძინა ივანიშვილი** პოლიტიკაში რატომღა დაბრუნდა?!

მისივე თქმით, ისტორიულ მინიმუმზეა როგორც „ქართული ოცნების", ისე „ნაციონალური მოძრაობის" რეიტინგი, ხოლო მათ ერთმანეთთან „ფარული კოალიცია" აქვთ და ერთმანეთს ეხმარებიან.

**„რა თქმა უნდა, ეს არის წინასაარჩევნო ბაქიბუქი. წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან, როგორც ჩანს, ხმებს შემოდგომაზე დავითვლით. ოპოზიცია ჯერ კარგ ფორმაში არ არის. ოპოზიცია ერთმანეთს ლანძღავს და ერთმანეთს არ ინდობს. ჯერ ზამთარი არ დამთავრებულა და იმედია, უკეთეს ფორმაში ვიქნებით",** – ამბობს ოპოზიციონერი დეპუტატი **ალეკო ელისაშვილი**.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას უმრავლესობა ამ ოპოზიციის პირობებში ნამდვილად გარანტირებული აქვს, თუმცა ღარიბაშვილის განცხადებით გამოჩნდა, რომ მათ ამბიციები საკონსტიტუციო უმრავლესობის აღებაზეც აქვთ. საყვარელიძე ამბობს, რომ რთულია არჩევნებამდე ზუსტად იმაზე საუბარი, შეძლებს თუ არა „ოცნება" ამას, თუმცა რიგი მიზეზების გამო, ეს რეალობასთან ახლოს არის.

**„ოპოზიციის საუბარი იმაზე, რომ „ოცნებას" ასე კარგად თუ აქვს საქმე, მაშინ ივანიშვილი უკან რატომ დაბრუნდაო, ძალიან სუსტი არგუმენტია. საქმე ისაა, რომ თავად ივანიშვილმა ახსნა უკან რატომაც დაბრუნდა და ეს იმას არ ნიშნავს, რომ არჩევნებში ვერგამარჯვების შიში იყო ამის მიზეზი. პირიქით, მან თქვა, რომ რიგი გამოწვევების გამო ის იძულებული გახდა, ქვეყნის გამო შემობრუნებულიყო. ამიტომ პირიქით, შესაძლოა, „ოცნების" ამომრჩევლისთვის ივანიშვილის უკან დაბრუნება დამატებითი სტიმულიც კი გახდეს.**

**ამასთანავე, ოპოზიციურ ფლანგზე ძალიან მძიმე ვითარებაა – დაშლილი და დაპირისპირებული „ნაციონალური მოძრაობა", რომელიც ერთმანეთს ამომრჩეველს წაართმევს; პატარა პარტიები, რომლებიც იმდენად სუსტები არიან, რომ 5%-იანი ბარიერის გადალახვის შანსიც კი არა აქვთ; დიდი შანსია იმისაც, რომ ვერ გაერთიანდნენ და ასე ფრაგმენტულად წარდგნენ არჩევნებზე. ამიტომ ღარიბაშვილის განცხადება რეალობას სულაც არ არის მოკლებული და ეს შანსი არსებობს",** – ამბობს **საყვარელიძე**.

მედია-პოლიტიკის ექსპერტი **გიორგი ახვლედიანი** მიიჩნევს, რომ ის სექტა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის" ამომრჩევლად არის ჩამოყალიბებული, ადამიანების ის კატეგორიაა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ენმ-ის ხელისუფლებაში დაბრუნების შედეგად ისინი აღიდგენენ იმ პრივილეგიებს, რომელიც მათი რეჟიმის დროს ჰქონდათ. ახვლედიანი ამბობს, რომ ენმ-ს სხვა დამატებით ამომრჩევლის მოზიდვა არ შეუძლია, აქედან გამომდინარე, მათი ხელისუფლებაში დაბრუნება გამორიცხულია.

**„რა თქმა უნდა, ხელისუფლებას აქვს ამბიცია და დიდი პერსპექტივაც იმის, რომ ხელისუფლებაში კვლავ საკონსტიტუციო უმრავლესობით მოვიდეს. ახლა ჩვენს ოპოზიციურ ფლანგზე ისეთი ვითარებაა, რომ „ოცნებას" სერიოზულ კონკურენციას ვერც ერთი მათგანი უწევს. ვიცით, რომ ენმ-ს ჰყავს თავისი ე.წ. სექტა ამომრჩეველი, ხოლო დანარჩენ ე.წ. ჩამოუყალიბებელ ამომრჩეველზე და იმ ახალგაზრდობაზე მუშაობენ, რომელბსაც ენმ-ის წარსული არ ახსოვთ.**

**თუმცა, აქაც მდგომარეობა ძალიან ცუდია! როგორ შეიძლება ახალგაზრდობა ლევან ხაბეიშვილით დააინტერესო?! ამის პარალელურად, ისინი ცდილობენ სხვა ფლანგზე გაიშალონ, ვითომდა დამოუკიდებელი პოლიტიკური პლატფორმის სახით და ენმ-ს როგორმე 5%-დან 7%-მდე მიამატონ. ახლა ცდილობენ პრეზიდენტის ფანჩატურში ამ პატარა „ნაცმოძრაობა" პარტიუკებით, რაღაცა ახალი გაერთიანების ილუზია შექმნან. ეს შეუძლებელი და გამორიცხულია, რადგან მათი ელექტორატი ზუსტად „ნაცმოძრაობის" ამომრჩეველია. ხოლო, როგორც კი წინასაარჩევნოდ მოხდება პოლიტიკური პოლარიზაცია და რადიკალიზაცია, მაშინვე ეს პატარა პარტიები არავის აღარ ემახსოვრება, მათთვის მიცემულ ხმას დაკარგულად მიიჩნევენ. ასეთ შემთხვევაში, მობილიზებული ხდება „ოცნების" ამომრჩეველიც და სწორედ, ამ ფონზე, მმართველი გუნდი მოახერხებს საკონსტიტუციო უმრავლესობის აღებას",** – ამბობს **ახვლედიანი**.

**ლიკა ბერიკაშვილი**

## ქიწნისის მეურნეობაში შიდა საუბნო გზის განახლება მიმდინარეობს

**გორის მუნიციპალიტეტის ქიწნისის საპროექტო მონაკვეთზე, რომლის სიგრძეც 1 343 მეტრია, ასფალტის საფარი იგება.**

პროექტის მიხედვით მოეწყობა: ტრანსპორტის სავალი ნაწილი, მიერთებები, ეზოში შესასვლელები, ლითონის წყალგამტარი მილები, სანიაღვრე სისტემა, საგზაო ნიშნები და მონიშვნები. სოფელში 100-მდე ოჯახი ცხოვრობს. პროექტის ფარგლებში მოწესრიგდა საბავშვო ბაღამდე მისასვლელი გზა.

## ლაგოდეხის მერიაში მოქალაქეთა მომსახურების სივრცე გაიხსნა

**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მოქალაქეთა მომსახურების თანამედროვე სივრცე გაიხსნა.**

მოქალაქეთა მომსახურების სივრცე სრულიად განახლდა, აღიჭურვა ავეჯით და საჭირო ინვენტარით. სივრცე მოქალაქეებს მოემსახურება „ერთი ფანჯრის" პრინციპით, რაც მუნიციპალური სერვისების ერთ სივრცეში მოქცევას და მოქალაქეებისთვის თანამედროვე კომფორტული გარემოს შექმნას, მომსახურების ხარისხის გაზრდას და დროის ეფექტიანად მართვის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.



## ახალციხის მუნიციპალიტეტს 18 ახალი სამგზავრო ავტობუსი ჰყავს

**მთავრობის მხარდაჭერით, ახალციხის მუნიციპალიტეტს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი 18 ახალი სამგზავრო ავტობუსი ჰყავს.**

Euro 5-ის სტანდარტის შესაბამისი, კომფორტული ავტობუსები 47 მგზავრზეა გათვლილი და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

ახალი სამგზავრო ავტობუსები პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანტონ ობოლაშვილმა, სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, ახალციხის მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ დაათვალიერეს.

# ქართულ კულტურასა და ხელოვნებას მოფრთხილება სჭირდება!




**საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის ინიციატივით, სახელოვნებო განათლების სისტემის გამართვის, ხელმისაწვდომობისა და საკანონმდებლო ცვლილებების საკითხებთან დაკავშირებით დასკვნითი პანელური დისკუსია გაიმართა. თემატურ პანელის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა, კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძემ, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე გივი მიქანაძემ.**

პარლამენტის თავმჯდომარემ ქართული კულტურის და ხელოვნების მნიშვნელობაზე და ამ ფასეულობების მოფრთხილებაზე ისაუბრა და ხელოვნების და კულტურის ევროკავშირში წარმოჩენის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, ქართული კულტურა საჭიროებს შენახვას, თაობიდან თაობაზე გადაცემას, ასევე შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას.

**„დღევანდელი ღონისძიება იმის ხაზგასმაა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელოვნებო განათლება. ჩვენ ნამდვილად არ მივდივართ ცარიელი ხელით ევროპულ ოჯახში – ეს არის ჩვენი კულტურა, ხელოვნება და ამიტომაც ის უნდა იყოს ჩვენი განსაკუთრებული საზრუნავი. ჩვენ ევროკავშირში მივდივართ არა მხოლოდ როგორც ერთ-ერთი ქვეყანა, რომელსაც უნდა ეკონომიკური ინტეგრაცია კეთილდღეობით გამორჩეულ ორგანიზაციაში, ჩვენ, როგორც ევროპული კულტურის თანაშემოქმედებს, გვინდა ვიყოთ ამ ოჯახის ნაწილი",** – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

სახელოვნებო განათლებაში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძემ და ყურადღება ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ფინანსურ საკითხებსა და სახელოვნებო განათლების სტატუსის განსაზღვრის საკითხზე გაამახვილა. მისივე ინფორმაციით, კულტურის კომიტეტის ინიციატივით, ჯერ კიდევ 2021 წლიდან დაიწყო თემატური შეხვედრები სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, ექსპერტებთან. ელისო ბოლქვაძის თქმით, დღევანდელი შეხვედრა პანელური დისკუსიის ფორმატში არის ერთგვარი შეჯამება და დასკვნითი საჯარო განხილვა, რომელიც უახლოეს თვეებში გადაინაცვლებს საკანონმდებლო ორგანოში და აისახება ახალი კანონის სახით.

შეხვედრის მონაწილეებს ასევე მიესალმა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე გივი მიქანაძე, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე თამარ მახარაშვილ, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე იოსებ ბაღათურია, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი ნინო ლაცაბიძე, ლატვიის პარლამენტის განათლების, კულტურისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე აგიტა ზარინა-სტურე და ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ედიტე მედნე.

კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდნენ თბილისის მერი კახა კალაძე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.

**კულტურის კომიტეტის ინიციატივით 2023 წელს გამართულ მასშტაბურ პანელურ დისკუსიებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სახელოვნებო სფეროს 5000-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.**



# ლიდერების შემოსევა










**ნება მიბოძეთ, ტრადიცია დავარღვიო და გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენების მიმოხილვა მილოცვით დავიწყო:**

**ძვირფასო თანამემამულეებო, ვისაც პირწმინდად დაგავიწყდათ გუშინდელი დღე, გილოცავთ ნიკა გვარამიას დიდ პოლიტიკაში დაბრუნებას! არა, 2003 წლიდან მოყოლებული, ნიკა არსადაც არ წასულა, მაგრამ ახლა საკუთარი პარტიის შექმნა და ხელისუფლების სათავეში მისვლა გადაუწყვეტია! მომხიბვლელი განცხადებაც კი გააკეთა – მართალია, ოდესღაც მე, მიშას და ჩვენს ნაცმოძრაობას იქნებ პატარა შეცდომებიც კი მოგვსვლია (ალბათ, ის იგულისხმა, თავისი გენპროკურორობისას ყველა პოლიტიკური მოწინააღმდეგე რომ ვერ გაანადგურა), მაგრამ ახლა სხვა ბიჭი ვარ, ისე მოგემსახურებით, ისე მოგელოლიავებით, მეგის ქარდავა, ძმები ახალაიები და ხელჯოხიანი გამაუპატიურებლები სანატრელი გაგიხდეთო!**

ამას ამბობს საკუთარ წარმატებაში დარწმუნებული ნიკა გვარამია, სააკაშვილის მანიაკური რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი და იდეოლოგი. კაცი, ვინც, თუ სადმე სამართალია, სამუდამო პატიმრობაში უნდა გაესტუმრებინათ. თანაც, ლაპარაკობს გვერდიდან, მესამე პირში, თითქოს სააკაშვილის რეჟიმთან არაფერი აკავშირებდეს.

მოკლედ, გასული კვირიდან ნაცისტორიაში დაიწყო ნისლიანი გვარამისტული ეპოქა.

**ეს ამბავი, სავარაუდოდ, არ გაახარებს „ლელოს". როგორც მისმა დიდმა ლიდერმა, უპატიოსნესმა ქურდმა და თაღლითმა ხაზარაძემ გვამცნო, 2024 წლის ოქტომბერში ხელისუფლებაში უეჭველ აღზევებას სწორედ თვითონ გეგმავს. რა თქმა უნდა, თავის მარჯვენა ხელ ჯაფარიძესთან და ქართული საზოგადოების გონებასუსტ ნაწილთან ერთად. მარშალის, უკაცრავად – ხაზაჯაფის – გეგმით ქვეყნის აღმშენებლობას, საცხოვრებელი ბინების მკვეთრ აღმავლობას, უკლებლივ ყველა უსაქმურის დასაქმებას რომ თავი დავანებოთ, ჩვენაო, ბატონმა ხაზარაძემ, უეჭველი გამარჯვების შემდეგ პენსიებს ათას ლარამდე გავზრდით, დამნაშავეებს გავაციმბირებთ და ბიძინა ივანიშვილს გავამოსკოვებთო.**

ამჯერად არ უთქვამს (არ უყვარს კაცს დაწვრილმანება!), მაგრამ იმედია, 18 მილიარდად შეფასებულ ანაკლიის პორტსაც ააშენებს. თან, სულ რაღაც 70 მილიონად.

ერთადერთი, რამაც ხაზარაძის დაპირებების გამო ეჭვები გააჩინა, პენსიების დაუყოვნებლივ 1000 ლარამდე გაზრდაა. ეტყობა, ამ „პატარა" შეცდომას თვითონაც მიხვდა და, პენსიებს დაუყოვნებლივ კი არა, ოთხი წლის განმავლობაში გავზრდიო. მართალია, თუნდაც ოთხი წლის განმავლობაში საპენსიო თანხის 6 მილიარდით გაზრდა ოცნებების სფეროსაც კი ბევრად აღემატება, მაგრამ ხალხის სიყვარული რას არ გაგაკეთებინებს!

სისულელე და ბოროტება რომ არ ვახსენო, თვით ხაზარაძისთვისაც კი კატასტროფული შეცდომაა პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების იმედით ქართველი ხალხისთვის ბიძინა ივანიშვილის მოსკოვში გადასახლების დაპირება. ეტყობა, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულმა ბატონმა ხაზარაძემ არ იცის, ვინ არის ივანიშვილი, არ იცის, რომელ ქვეყანაში ცხოვრობს და, რაც მთავარია, არავითარი წარმოდგენა არა აქვს არც პოლიტიკაზე და არც რეალურ პიარ-ტექნოლოგიებზე!

ხალხის სიყვარულითა და მასზე დაუოკებელი ზრუნვით უნდა იყოს გამოწვეული ბატონი ჭიჭე ვაშაძის გენიალურად ბრიყვული ინიციატივაც – თუ მშვიდობა და ერთიანობა გვინდა, ავაშენოთ, ბატონო, მერსედესის ქარხანა საოკუპაციო ზონის მისადგომებთან!

**გასულ კვირაში ჩვენი პოლიტიკური ლიდერებისა და თითქმის ლიდერების გამოსვლებით თუ ვიმსჯელებთ, წლევანდელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში უეჭველად იმარჯვებს მიშა-ხაზეს „ნაცმოძრაობა", ჯაფარიძე-ხაზარაძის „ლელო", გახარიას „საქართველოსთვის", დიდი შალვას „ლეიბორისტები", სამნიძის „რესპუბლიკელები", ჯაფარიძის და ხვიჩიას „გირჩები", ჩერგო-გოკერიას თაყვანისმცემლები... ანუ, თუ ხაზარაძის არითმეტიკით ვიხელმძღვანელებთ, მომავალ პარლამენტში 150-ის ნაცვლად სულ მცირე, 684 დეპუტატი გვეყოლება. ესეც იმ შემთხვევაში, თუ დღევანდელი მმართველი „ქართული ოცნება" არჩევნებში მონაწილეობაზე უარს იტყვის!**

რა თქმა უნდა, ბატონმა და ქალბატონმა „ლიდერებმა" იციან, რომ ეს სრული სისულელეა და ოქტომბრის არჩევნებში ვერცერთი ოპოპარტია ვერც ერთად და ვერც ცალკ-ცალკე ვერავითარ წარმატებას ვერ მოიპოვებს. საუკეთესო შემთხვევაში, ყველამ ერთად, შესაძლოა, ხმების 20-25 პროცენტი დააგროვოს. მათი დღევანდელი განცხადებები არის გონებასუსტებზე გათვლილი პრიმიტიული პოლიტიკური თამაში შემოდგომაზე უეჭველი წარუმატებლობის შემდეგ ახალი გნიასისთვის საფუძვლის შესაქმნელად – ოცნებამ არჩევნები გააყალბა!

**და მაინც, ყველაზე სულელური ნაგიჯებით მთავარი ოპოზიციური პარტია, ან უკვე ხაბეიშვილის „ნაცმოძრაობა" გამოირჩევა. გასულ კვირაში სწორედ მან გაავრცელა ინფორმაცია, რომ სააკაშვილი 6-7 მარტს ბუქარესტში დაგეგმილ EPP-ის კონგრესზეა მიწვეული. აღარაფერს ვამბობ თავად სააკაშვილზე, ვინც ყოველ მეორე დღეს მაინც გვახსენებს, რომ აქტიურადაა ჩართული ქართულ და მსოფლიო პოლიტიკაში და საცაა გვიხსნის ივანიშვილის ტირანიისგან. მის ამ განცხადებებს მომხრეებიც ოვაციებით ხვდებიან.**

უცნაური ამბავია – ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, ქართულ პოლიტიკაში მისვლას, არჩევნებში გამარჯვებას და ზეციურ ბედნიერებას გვპირდება ადამიანი, ვინც ჯერ კიდევ 2013 წელს საკუთარი ინიციატივით უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე, გაიქცა უკრაინაში და მიიღო იქაური მოქალაქეობა. მერე სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის იმედით, არაჟნების კონტეინერით შემოიპარა საქართველოში და ახლა კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულისთვის იხდის სასჯელს. მოკლედ, სხვა ქვეყნის მოქალაქე, თანაც პატიმარი გვარწმუნებს, ბედნიერების მწვერვალებისკენ მიგიძღვებითო!

კარიკატურული ვითარებაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ამას მართლმორწმუნე მიშისტები და მათი მხარდამჭერები სავსებით სერიოზულად აღიქვამენ, ღიმილი პირზე შეგაშრებათ – ამდენი უგუნური ერთ პატარა ქვეყანაში მართლაც მეტისმეტია. სხვა საქმეა ლიდერი ნაცები. ყურადღება მიაქციეთ, როგორ მოიხსენიებს ჯერ კიდევ 2013 წლიდან საქართველოდან გადახვეწილ სხვა ქვეყნის მოქალაქე სააკაშვილს ლევან ხაბეიშვილი – პრეზიდენტი სააკაშვილი! ეს არ არის უვიცობა ან შემთხვევითი მოვლენა – ეს არის წინასწარ დაგეგმილი ქმედება ნაცმომხრეების გასაბითურებლად – სააკაშვილი ღვთიური და მარადიული პრეზიდენტია!

**სწორედ ამ ღვთიურ-მარადიულობიდან გამომდინარე, გასულ კვირაში ნაცებმა დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება სააკაშვილის გათავისუფლების თხოვნით. ძნელი სათქმელია, შეისმენს თუ არა მათ აჯას პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი. ეს სააკაშვილმაც მშვენივრად იცის. ამიტომ, ყოველი შემთხვევისთვის, კოლეგა სალომეს შეახსენებს, რომ თვითონ, მიხეილ სააკაშვილი ვლადიმირ პუტინის ისეთივე ტყვეა, როგორიც იყო ორიოდე დღის წინ რუსულ ციხეში მოულოდნელად გარდაცვლილი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ალექსეი ნავალნი. რასაკვირველია, იმაზე არ ლაპარაკობს, რომ ქართველების (გრუზინების) მღრღნელებად (გრიზუნებად) მომხსენიებელი ბატონი ნავალნი სააკაშვილისგან განსხვავებით, უცხოეთიდან სამშობლოში კონტეინერით კი არ შეიპარა, თვითმფრინავით ჩავიდა, სასჯელს ღირსეულად შეხვდა და ციხეშიც ღირსეულად იჯდა. „ვივამედის" ვიპ-პალატაში წამოკოტრიალებული სააკაშვილი კი, მე და ნავალნი თანასწორები ვართ, ერთ ნარზე ვზივართო!**

გასულ კვირაში უკიდურესად დაიძაბა ვითარება უკრაინაში. პრეზიდენტ ზელენსკის განცხადებით, უკრაინის შეიარაღებული ძალები იძულებულია ფრონტის სხვადასხვა მონაკვეთზე უკან დაიხიოს, რადგან არ ჰყოფნის საომარი რესურსები – იარაღი და ცოცხალი ძალა. ევროკავშირის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში იზრდება ამ ომისადმი მწვავე კრიტიკული დამოკიდებულება.

მოვლენათა განვითარების წინასწარმეტყველება უმადური საქმეა, თუმცა ერთი შეიძლება ვთქვათ – შექმნილი ვითარება ტრაგიკულია უკრაინისთვისაც, რუსეთისთვისაც და ამ ძმათამკვლელი ომის დამფინანსებლებისთვისაც. იმედია, ამას გაითვალისწინებენ ომში ჩართული მხარეები და უახლოეს მომავალში საზავო ხელშეკრულებაზე ფიქრს დაიწყებენ.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ოპერატიულად დაადგინა და დააკავა კიდეც ქუთაისი-ბარსელონას ავიარეისის ბორტზე ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინების ავტორი. მან უნგრეთში მდებარე ავიაკომპანია „ვიზეარის" სათავო ოფისში, სხვის სარგებლობაში არსებული ქართული მობილური ოპერატორიდან დარეკა. თუმცა, აღნიშნულ რეისზე ასაფეთქებელი მოწყობილობა ან ნივთიერება აღმოჩენილი არ ყოფილა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს სსკ-ის მიხედვით, ბრალის დადასტურების შემთხვევაში, მავნებელ ცრუპენტელას სამიდან ცხრა წლამდე ციხე ემუქრება.

გასულ კვირაში გავრცელდა საინტერესო და, იმედია, სასიამოვნო ინფორმაცია საქართველო-საუდის არაბეთს შორის ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლის თაობაზე. შეგახსენებთ, რომ საუდის არაბეთის სამეფო არის ერთ-ერთი უმდიდრესი 27-მილიონიანი არაბული ქვეყანა, რომელსაც საქართველოში სერიოზული ინვესტიციების დაბანდება შეუძლია. იმედია, საქართველოს ხელისუფლება ხელიდან არ გაუშვებს ამ უნიკალურ შანსს.

**არ ვიცი, რამდენად მნიშვნელოვანია, მაგრამ ერთი საინტერესო ინფორმაციაც და ამით დავამთავროთ – გასულ კვირაში თავისი პირველი სხდომა ჩაატარა პარლამენტის მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრად დამტკიცებულმა ირაკლი კობახიძემ. ვუსურვოთ მას წარმატებები ესოდენ საპასუხისმგებლო პოსტზე.**



**მაპატიეთ, თუ ამ კვირაში რაიმე განსაკუთრებით სასიამოვნო ინფორმაციებით ვერ გაგახარეთ!..**

**თეიმურაზ ქორიძე,**
18.02.2024.

# „სახელმწიფო სახელმწიფოში“




# როგორ დასრულდება „ქართული ოცნების“ და დაუნდობელი ენჯეოების ომი?

**კარგა ხანია რაც „ქართულ ოცნებასა“ და არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენიან სეგმენტს შორის დაპირისპირება ახალ და უფრო მწვავე ფაზაში გადადის. ახლახან პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა თავის საჯარო წერილში, კიდევ ერთხელ მძაფრად გააკრიტიკა ე.წ. „მდიდარი“ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები („ენჯეოები“) და მათი სიმდიდრის უზრუნველმყოფი საერთაშორისო დონორები, რომლებიც არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ „ენჯეოების“ ქმედებებზე.**

**„ქართულ ოცნებასა“ და „მდიდარი ენჯეოების“ პირველი სერიოზული ჯახი 2014 წელს მოხდა. მაშინ ამ ენჯეოებმა ხელისუფლებაზე იერიში „ეს შენ გეხება“! – მასშტაბური კამპანიით მიიტანეს, რომელიც უხვად ფინანსდებოდა საქართველოში მოქმედი საერთაშორისო დონორების მიერ. ენჯეოები კატეგორიულად ითხოვდნენ, რომ ფარული მოსმენების ე.წ. „გასაღები“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ჩამორთმეოდა და მობილურ ოპერატორებს გადასცემოდა, რაც ფაქტობრივად, უსაფრთხოების სამსახურის განიარაღების ტოლფასი იყო.**

**უშედეგოდ დასრულდა „ქართული ოცნების“ მცდელობები, „ურთიერთობები დაელაგებინა“ არასამთავრობო სექტორთან, მათ შორის რამდენიმე ცნობადი ენჯეო-ლიდერის მაღალ თანამდებობებზე გამწესებითაც კი...**

**„ქართული ოცნებისა“ და „მდიდარი ენჯეოების“ ომი ღია ფაზაში 2022 წლის 20 ივნისს გადაიზარდა, როდესაც საქართველოს მიერ ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსის ვერმიღების გამო, წამყვანმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რადიკალურ ოპოზიციასთან ერთად, დაგეგმეს არჩეული მთავრობის „ტექნიკური მთავრობით“ ჩანაცვლება, სადაც თავადაც იქნებოდნენ წარმოდგენილი. სხვათა შორის, ამ მასშტაბური აქციების დამფინანსებელთა ვინაობა დღემდე უცნობია.**

ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსის მიღების და ევრორეკომენდაციების შესრულების პროცესმა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთა „ქართული ოცნებისა“ და „მდიდარი ენჯეოების“ ომის პოლიტიკური კონტურები. საკმარისია გავიხსენოთ ამ ენჯეოების წარმომადგენელთა სტატიები, რომლებითაც პირდაპირ მოითხოვდნენ, რომ „ქართული ოცნების“ პირობებში საქართველო კანდიდატის სტატუსს არ იმსახურებდა. „მდიდარი ენჯეოების“ რამდენიმე წარმომადგენელი ევროპაში თუ ამერიკაში პრეს-კონფერენციებს აწყობდა, რომლებზედაც გამხდარი სააკაშვილის ფოტოებს აფრიალებდა, რომ იქაური აუდიტორია დაერწმუნებინა, თითქოს საქართველოს ხელისუფლება ექს-პრეზიდენტს აწამებდა.

პროდუქტიული დიალოგი ხელისუფლებასა და „მდიდარ ენჯეოებს“ შორის მხოლოდ იმიტომ კი არ გამოდის, რომ რიგ საკითხებზე დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულებები აქვთ. მთავარი მიზეზი ის ფასეულობითი და მსოფლმხედველური ნაპრალია, რაც არსებობს ერთი მხრივ „მდიდარ ენჯეოებს“ მათ პასიონარულ მომხრეებსა და მეორე მხრივ, „ქართულ ოცნებასა“ და მის მხარდამჭერ საზოგადოებას შორის. ზოგადად, „მდიდარ ენჯეოებს“ ფასეულობათა კონფლიქტი აქვთ ჩვენი საზოგადოების უმრავლესობასთანაც.

სხვათა შორის, ეს კარგად აჩვენა სამების ეკლესიაში ჩადენილი ვანდალიზმის გამო სამოქალაქო აქტივისტ **ნატა ფერაძის** დაპატიმრებაზე წამყვანი „ენჯეოების“ და დანარჩენი საზოგადოების რეაქციებმაც. თუკი საზოგადოების უმრავლესობისათვის ეკლესიაში ხატის შეურაცხყოფა სრულიად მიუღებელი ქმედებაა, არასამთავრობო სექტორისათვის ეს, როგორც თავად ამბობენ, „არაძალადობრივი სამოქალაქო აქტივობის“ გამოვლინებაა და შესაბამისად სრულიად მისაღები.

„მდიდარი ენჯეოები,“ რომლებიც უკვე კარგა ხანია თავს საზოგადოების პრივილეგირებულ კასტად მიიჩნევენ, საკუთარ მოსაზრებებსაც უმაღლეს ჭეშმარიტებად თვლიან, ხოლო თუ ვინმე ამ მოსაზრებებს/რეკომენდაციებს არ იზიარებს, მათ ანტი-ევროპულ და რეტროგრადულ ძალებად აცხადებენ, თანამშრომლობას წყვეტენ და აგრესიული „ბულინგის“ ობიექტად აქცევენ.

„ქართული ოცნებისა“ და „მდიდარი ენჯეოების“ დიალოგს ხელს ნამდვილად არ უწყობს აღნიშნული ენჯეოების პერმანენტული მცდელობა დასავლურ წრეებში შექმნან აღქმები, საქართველოში დემოკრატიის დეგრადაციასა და პროდასავლური ვექტორის შეცვლაზე. ეს კი პირდაპირ თანხვედრაშია რადიკალური ოპოზიციის პოლიტიკურ დღის წესრიგთან. ამით, ნებსით თუ უნებლიეთ, „მდიდარი ენჯეოები“ ოპოზიციის პირდაპირი ან სიტუაციური მოკავშირეების როლში გამოდიან.

ტერმინი „დემოკრატიის უკუსვლა,“ რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება „მდიდარი ენჯეოების“ ანგარიშებში, დასავლურ აუდიტორიაში, მათ შორის პოტენციურ ინვესტორებში, ქმნის განცდას, რომ ადრე დემოკრატიის მხრივ საქართველოში ყველაფერი კარგად იყო, ხოლო „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში დემოკრატია და სახელმწიფო ინსტიტუტები ჩამოიშალა. ამავე დროს, თუ 2022-2023 წ.წ. საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს მაჩვენებლებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ქვეყანაში ვითარება განსხვავებულია.

ჩამოყალიბებულ დემოკრატიებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხელისუფლების არც მეგობრები არიან, მაგრამ არც დაუძინებელი მტრები. სამწუხაროდ, საქართველოში ამ კუთხით სულ სხვა მოცემულობა. ქართული გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებასთან მზარდი და მძაფრი კონფრონტაციის რეჟიმში იმყოფებიან, რომელშიც ხშირად იკითხება მათი პოლიტიკური და დახურული ელიტარული გაერთიანებისთვის დამახასიათებელი ინტერესები. პრინციპი – „მომექეცი კარგად და მოგექცევი უკეთესად“ – „ქართული ოცნებასა“ და „მდიდარი ენჯეოების“ ურთიერთობებში, როგორც ჩანს, გამოირიცხა.

**„მდიდარი ენჯეოები,“ რომლებიც უკვე კარგა ხანია თავს საზოგადოების პრივილეგირებულ კასტად მიიჩნევენ, საკუთარ მოსაზრებებსაც უმაღლეს ჭეშმარიტებად თვლიან, ხოლო თუ ვინმე ამ მოსაზრებებს/რეკომენდაციებს არ იზიარებს, მათ ანტიევროპულ და რეტროგრადულ ძალებად აცხადებენ, თანამშრომლობას წყვეტენ და აგრესიული „ბულინგის“ ობიექტად აქცევენ.**

**„ქართულ ოცნებას“ არ შეუძლია „მდიდარ ენჯეოებთან“ ომში გამოიყენოს ყველა საშუალება. ყველამ ვნახეთ მძაფრი საერთაშორისო რეაქციები „უცხოეთის გავლენის აგენტების“ კანონზე. თუმცა, „ქართული ოცნება“ ჯერჯერობით ახერხებს, რომ ამ ომში არ დამარცხდეს, მათ შორის იმის ხარჯზეც, რომ „მდიდარ ენჯეოებს“ ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა არ გააჩნიათ.**

პრობლემის ერთ-ერთი წყარო საქართველოში არსებულ დემოკრატიის იმ უცნაურ მოდელში უნდა ვეძებოთ, რომელიც არც ევროპულია, არც ამერიკული, მაგრამ არის რაღაც გაუგებარი ნაზავი, რომლის დამკვიდრებაშიც „მდიდარ ენჯეოებს“ ლომის წილი მიუძღვით. ამ მოდელის ერთ-ერთი ნიშანია „მდიდარი ენჯეოების“ მცდელობა გახდნენ „სახელმწიფო სახელმწიფოში,“ ჰქონდეთ ხელშეუხებელთა სტატუსი და გახდნენ ის ერთდაერთი ელიტა, რომელიც დანარჩენ საზოგადოებას ცხოვრების წესებს უკარნახებს. ამ დროს, სოციოლოგიური გამოკითხვები და რეალური ცხოვრებაც იმას აჩვენებენ, რომ საზოგადოების უმრავლესობა ამის წინააღმდეგია.

„ქართულ ოცნებასა“ და „მდიდარი ენჯეოები“-ს ამ ომს, სავარაუდოდ, გამარჯვებული არ ეყოლება. გარედან მიღებული ფინანსური და პოლიტიკურ-მორალური მხარდაჭერა, აღნიშნულ ენჯეოებს აძლევს საშუალებას, ფეხზე მყარად იდგნენ და „ქართულ ოცნებას“ სხვადასხვა კუთხით პრობლემებიც კი შეუქმნან.

ცნობილი მიზეზების გამო, „ქართულ ოცნებას“ არ შეუძლია „მდიდარ ენჯეოებთან“ ომში გამოიყენოს ყველა საშუალება. ყველამ ვნახეთ მძაფრი საერთაშორისო რეაქციები „უცხოეთის გავლენის აგენტების“ კანონზე. თუმცა, „ქართული ოცნება“ ჯერჯერობით ახერხებს, რომ ამ ომში არ დამარცხდეს, მათ შორის იმის ხარჯზეც, რომ „მდიდარ ენჯეოებს“ ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა არ გააჩნიათ.

დასკვნა საკმაოდ პესიმისტური გამოვიდა. რა თქმა უნდა, უსასრულოდ შეიძლება მსჯელობა იმაზე, თუ რომელი მხარე უფრო მეტად არის პასუხისმგებელი შექმნილ სამწუხარო მოცემულობაზე, რომლის შეცვლაზეც არც ერთი დაპირისპირებული მხარე, როგორც ჩანს, არ ფიქრობს. ამასაც აქვს თავის ახსნა. მოგეხსენებათ, წინ საპარლამენტო არჩევნებია, ხოლო საარჩევნო წელს „მდიდარ ენჯეოებს“ ტრადიციულად განსაკუთრებული მისია ეკისრებათ. ზოგიერთი შიდა თუ გარე ფაქტორის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მისია იქნება – არ დაუშვან არჩევნებზე „ქართული ოცნების“ გამარჯვება.



**ზაალ ანჯაფარიძე**

რის გაკეთებას დაავალებს ბიძინა ივანიშვილი ირაკლი კობახიძეს, რათა „ქართულმა ოცნებამ" გრძელვადიან პერსპექტივაში გაუძლოს დროს და საკუთარ მომხრეებში იმედი არ ჩაკლას?!

ანალიტიკოსთა ნაწილი აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილი სწორედ იმიტომ შემობრუნდა ქართულ პოლიტიკაში, რომ მან ვერ შეუსრულა ხალხს მთავარი დანაპირები სამართლიანობის აღდგენის თაობაზე, რის გამოც საკუთარი მომხრეების ნაწილი არჩევნებზეც აღარ მიდის. ამ დაპირების შეუსრულებლობა კი ისევ და ისევ ბიძინა ივანიშვილს ბრალდება და არა მის წარუმატებელ პრემიერებს. ამდენად, არსებობს მოლოდინი იმისა, რომ ახლა მაინც ჩამოიღებს პროკურატურა თაროებზე შემოწყობილ საქმეებს, რომელთა უკანაც კონკრეტული ადამიანების, ოჯახების მიმართ ჩადენილი ნაცური დანაშაულები იკითხება.

რა კურსს აიღებს ბიძინა ივანიშვილი ახალ პრემიერთან ერთად და ახლა მაინც თუ შეასრულებს პროკურატურა თავის ფუნქციას?



## ბიძინა ივანიშვილს დაპირება აქვს შესასრულებელი და ვფიქრობ, ამისთვისაც მობრუნდა პოლიტიკაში!

# სამართლიანობა ახლა მაინც უნდა აღდგეს!

**„არც ერთი ნაცი არც ერთ სტრუქტურაში",** – ეს **ირაკლი კობახიძის** ადრინდელი ნათქვამია, რომელიც კობახიძეს პრემიერ-მინისტრად არჩევის დღესაც შეახსენეს.

„ხალხის ძალის" წევრი **დაჩი ბერაია** დაინტერესდა, ირაკლი კობახიძე ამ პრინციპს ხომ არ გადაუხვევდა, რაზეც კობახიძისგან პასუხად მიიღო, რომ მისი განწყობა და მიდგომა ძალაში რჩება, თუმცა პარლამენტი იღებს ამის შესახებ გადაწყვეტილებას.

**რა კურსს აიღებს პოლიტიკაში ახლადდაგრუნებული ბიძინა ივანიშვილი ახალ პრემიერთან ერთად და ახლა მაინც თუ შეასრულებს პროკურატურა თავის ფუნქციას?**

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარე **ნანა კაკაბაძე** აცხადებს, რომ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის შემობრუნებამ ძალიან დიდი იმედი მისცა. აშკარაა, ბიძინა ივანიშვილი ცდილობს ყველა იმ დაპირების შესრულებას ქართველი ხალხისთვის, რის გამოც მას ენდნენ 2012 წელს და მოიყვანეს ხელისუფლებაში. მართალია, ეს იყო გამწარებული ხალხი და ბიძინა ივანიშვილი კი არა, ეშმაკიც რომ მდგარიყო მეორე მხარეს, მიშას ძალაუფლებას და მიშას მმართველობას ყველაფერი ერჩივნათ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის მიმართ საყოველთაო მხარდაჭერა იყო.

ნანა კაკაბაძის განმარტებით, შემთხვევით არ წამოსცდენიათ ნაცებს, ჩვენ გაყალბების სერიოზულ ბერკეტს ვფლობდით 2012 წელს და 60%-ზე მეტს აიღებდა „ქართული ოცნება", ეს მექანიზმები რომ არ გვქონოდაო. ეს ნიშნავს, როგორ იწამა და ირწმუნა ხალხმა ბიძინა ივანიშვილის, რომლის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი დაპირება იყო სამართლიანობის აღდგენა.

**„ვფიქრობ, ეს ტანდემი – პრემიერი ირაკლი კობახიძე და ღია პოლიტიკაში შემოსული ბიძინა ივანიშვილი იმის გარანტი იქნება, რომ ამ ქვეყანაში სამართლიანობა აღდგება. თუ არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობა. ჩვენ აქამდე მოვედით ისე, რომ არ დავქცეულვართ, ევროპა თითქმის დაიქცა და, ღმერთმა დაგვიფაროს, უკრაინაში რაც ხდება, ეს საშინელებაა. ჩვენ გადავურჩით ომს, ეს არის სწორი პოლიტიკის შედეგი და ამაში 100% თუ არა, 99, 99% ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა. ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილს დიდი დაპირება აქვს შესასრულებელი ქართველი ხალხისთვის და ის ამისთვისაც მობრუნდა, ასეთი მოლოდინი მაქვს, რომ ეს პროცესი უნდა დაიწყოს, უნდა ჩამოიღონ პროკურატურაში თაროებზე შემოდებული საქმეები, ყველა საქმე უნდა გამოიძიონ, რაშიც ხალხი თვლის, რომ დაზარალებული და გულნაკლულია სამართლიანობის კუთხით. ეს პროცესები ძალიან მალე უნდა დაიწყოს. ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ ყველა დანაპირები ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხს შეუსრულა",** – აცხადებს **ნანა კაკაბაძე.**

მისივე განმარტებით, შავი პიარი მიდიოდა ივანიშვილის მიმართ არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მთელ მსოფლიოში, ბიძინაც ხედავდა ამას, მსოფლიო მნიშვნელობის ბანკებიც კი დაუპირისპირდნენ, გამოგონილი ტიტულები შეარქვეს, თითქოს ბიძინა ოლიგარქია და ვერ ხსნიდნენ, რატომ არ არის კეზერაშვილი ოლიგარქი. მთელი მსოფლიოს ლიბერალური ძალები დაუპირისპირდნენ ბიძინა ივანიშვილს, ამის მიუხედავად, მისი რეიტინგი არ დაცემულა და ქართველ ხალხს მისი იმედი არ დაუკარგავს. ახლაც ხალხს იმედი მიეცა პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის შემოსვლის გამო.

**„თქვენ იცით, როგორი ინტენსიური ურთიერთობა მაქვს ხალხთან, მით უმეტეს, იმ ხალხთან, ვისთვისაც სამართლიანობა არ აღმდგარა, ყველა მათგანი, ერთის გამოუკლებლად, ამას მეკითხება, ქალბატონო ნანა, ბიძინა ივანიშვილი რომ მობრუნდა პოლიტიკაში, სამართლიანობას რამე ეშველება? 2012 წლამდე როგორ მოვედით? პირადად მე შემიძლია ჩემი ერთადერთი შვილი დავიფიცო, მზად ვიყავი, სიცოცხლე დამეთმო, სიცოცხლე გამეწირა, ოღონდ სააკაშვილის საშინელი რეჟიმი მოშორებულიყო. თქვენ იცით, როგორი შეხება მქონდა ციხეებთან, პატიმრებთან, რას უშვრებოდნენ დაზარალებულ ხალხს, ამის ყურება ჩემთვის საშინელება იყო.**

**დღესაც „ქართული ოცნების" მომხრეებში იმდენად დიდი ნიჰილიზმია სამართლიანობის აღდგენის დავიწყებული დაპირების გამო, რომ ისინი არჩევნებზეც აღარ მიდიან, რომ „ოცნებას" დაუჭირონ მხარი. ხალხს გული გაუტყდა, ესეც ბიძინას ბრალდება, იმას კი არა, რომ რომელიღაც პრემიერმა არ ივარგა, გახარიამ არ ივარგა, კვირიკაშვილმა არ ივარგა, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა არ ივარგა. ხალხი ფიქრობს, რომ ბიძინამ უღალატა და გადააგდო. ამიტომ ბიძინამ ეს ნაბიჯი უნდა გადადგას და ქართველი ხალხის ნდობა ექნება ისევე, როგორც ეს 2012 წელს ჰქონდა, ხოლო მისი გუნდი გრძელვადიანად დარჩება ქართულ პოლიტიკაში",** – აღნიშნა **ნანა კაკაბაძემ.**

* * *

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** ადასტურებს, რომ ყოფილი ნაცი არ არსებობს და, სადაც ნაცები ხვდებიან, იმ სტრუქტურებში აგრძელებენ ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ. თუმცა რამდენად შესაძლებელია ამ პრინციპის განხორციელება, რომ არც ერთი ნაცი არც ერთ სტრუქტურაში არ დარჩეს, ამის თქმა შეუძლებელია.

**„დავუშვათ, მე გუშინ ვიყავი ნაცი, მივედი და ვთქვი, მე ახლა მჯერა ქოცების და გუშინდელი დღის გამო ვერ მეუბნებიან უარს. ასე მოხვდა „ქართული ოცნების" სტრუქტურებში უამრავი ნაცი, მათ თქვეს, რომ გადახედეს თავიანთ პოზიციას და გაუმარჯოს „ქართულ ოცნებასო". „ოცნებამაც" მიიღო ისინი, მაგრამ მანდ სხვა საკითხი დგება – ყოფილი ნაცი არსებობს თუ არა?! იმ სტრუქტურებში, სადაც ნაცები დამკვიდრდებიან, მერე აგრძელებენ შიგნიდან ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ. ესაა პრობლემა, თორემ, თავისთავად, რომელ პოლიტიკურ ჯგუფს მიეკუთვნები, რა მნიშვნელობა აქვს. მარტის აქციების დროსაც სამინისტროებში მოკალათებულმა ნაცებმა ვერ დამალეს ნაცობა და გამოვიდნენ სიტუაციის ასამღვრევად. იმ მიტინგების შთაბეჭდილების ფონზე, ვფიქრობ, რომ ბევრი ნაცი ისევ გააქტიურდება ნებისმიერ დროს და ნაცებს დაუჭერს მხარს",** – აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

ანალიტიკოსმა გაიხსენა, რომ თავის დროზე შევარდნაძემ გადადგა ნაბიჯი და ოპოზიციურ პარტიებს მისცა პორტფელები. „ტრადიციონალისტი" **თემურ ბასილია** გახადა თავის მრჩევლად ეკონომიკის დარგში, **ირინა სარიშვილი** – ვიცე-პრემიერად, მაგრამ მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რაიმე გზებით დაამხობდა შევარდნაძის ხელისუფლებას. რამაზ საყვარელიძე იმასაც იხსენებს, სააკაშვილის „ვარდების რევოლუცია" რომ მოხდა, **ვახტანგ ხმალაძემ** მაშინ თქვა, ეს სამწუხარო ფაქტია, ახლა ყველა ჩათვლის, რომ პრეზიდენტობა შეუძლიაო, რაც შევარდნაძის დროს ვერ წარმოედგინათ. „ვარდების რევოლუციამდე" სულ სხვა ვითარება იყო, ადამიანები, შესულნი შევარდნაძის სტრუქტურებში, არც ფიქრობდნენ იმ სტრუქტურებისთვის ზიანის მიყენებას, შესანიშნავად ასრულებდნენ თავიანთ როლს პარტიული კუთვნილების მიუხედავად. ასეთი სურათი ნაცებთან მიმართებით დღეს არ გვაქვს, რადგან ნაცები ფიქრობენ, მათი პარტია უნდა გახდეს წამყვანი პარტია, მათ ეს დაიმსახურეს და ამით არაფერი გასაოცარი არ მოხდება.

* * *

ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილის** აზრით, ადამიანი როდესაც მიდის ეკლესიაში მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთისგან კონკრეტულ პრეფერენციებს ელოდება, ალბათ, რწმენასთან, ეკლესიურობასთან ნაკლები შემხებლობა აქვს. შეუძლებელია, არ გაუგო დაზარალებულ ადამიანებს, რომლებიც წლების განმავლობაში ელიან სამართლიანობის აღდგენას, რადგან სამართლიანობა მათი მისამართით ურმით გადაადგილდება, მაგრამ იმის თქმა, რომ, თუ ვერ მოასწრებს ხელისუფლება წინასაარჩევნოდ სამართლიანობის აღდგენას, მაშინ არჩევნებზე არ მივალ, ნიშნავს, რომ აქტიური თუ პასიური მოქმედებით, ეს ადამიანები კარს უღებენ ზუსტად იმ ძალას, რომელიც 9 წლის განმავლობაში მათ სისხლს წოვდა, ანგრევდა ბიზნესს, მათ ახლობლებს ფიზიკურად ანადგურებდა და აუპატიურებდა.

**„ღმერთმა ქნას, ბიძინა ივანიშვილის მესამედ შემობრუნება პოლიტიკაში, მათ შორის, დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ პროკურატურაში თაროზე შემოდებული მივიწყებული საქმეები გააცოცხლოს და კონკრეტული ადამიანების ცხოვრებაში რაღაც სასიკეთოდ შეცვალოს, მაგრამ მაინც ვურჩევდი ჩემს მეგობრებს, საქართველოს მოსახლეობის ჯანსაღ ნაწილს, მიუხედავად იმისა, ამ მიმართულებით როგორ წარიმართება საქმე, 26 ოქტომბერს გასაკეთებელი არჩევანი გააკეთონ მომავლის სასარგებლოდ და არა წარსულის მისამართით",** – აღნიშნავს **დავით ქართველიშვილი.**

მოამზადა
**მანანა ნოზაძემ**

ო, დრონი, დრონი...

## ერთ დროს „ქართული ოცნების“ „ვარსკვლავის“ საეჭვო წარსული და პრეზიდენტის ახალი თამაში



# ეკა ბესელია ისევ შეტევაზე გადადის!

**2019 წლის 26 ნოემბრის პრეზიდენტის №556 ბრძანებულების თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადდა „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულება. საქართველოს პრეზიდენტის აპარატმა პატიმართა შეწყალების ახალი წესი შეიმუშავა. ეს ის წესია, რომლის შეცვლის აუცილებლობაც დაასახელა სალომე ზურაბიშვილმა შეწყალებაზე გამოცხადებული მორატორიუმის მიზეზად. ახალი წესის თანახმად, შეწყალების საქმეებს განსახილველად პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამსახური ამზადებს.**

თუმცა, როგორც ირკვევა სალომე ზურაბიშვილი მის მიერვე გაუქმებული პრეზიდენტის შეწყალების კომისიის აღდგენას გეგმავს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, არ არის გამორიცხული, ამ კომისიას „ქართული ოცნების“ ყოფილმა წევრმა **ეკა ბესელიამ** უხელმძღვანელოს. არაოფიციალური ინფორმაციით, კონსულტაციები ათონელის რეზიდენციაში პრეზიდენტსა და ა/ო პარტია „სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარეს შორის უკვე დასრულდა.

საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც წინამორბედის მსგავსად, არაერთი სკანდალური და ხმაურიანი შეწყალების აქტის ავტორია, ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტებებს არ აკეთებს. თუმცა, პრეზიდენტს მიმართავს შეწყალების კომისიის ყოფილი ხელმძღვანელი, დეპუტატი **ალეკო ელისაშვილი** და მოუწოდებს, რომ ბესელიას კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნა როგორც კომისიას, ისე სალომე ზურაბიშვილსაც დააზიანებს.

აღსანიშნავია, რომ ელისაშვილი ბესელიას ამავე თემის გამო ჯერ კიდევ წლების წინ დაუპირისპირდა და კორუფციაში დაადანაშაულა. ამ დაპირისპირებაში საინტერესო დეტალია ისიც, რომ **ეკა ბესელიამ,** როგორც დეპუტატმა შეწყალების კომისიას ყველაზე მეტი – 608 პატიმრის შეწყალების მოთხოვნით მიმართა.

**„ეკა ბესელიას დანიშვნა იქნება კორუფციის მძვინვარება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. იმედი მაქვს, სალომე ზურაბიშვილი ასეთ დიდ შეცდომას არ დაუშვებს. ეკა ბესელია თავისი ცხოვრების მანძილზე ფულს აკეთებდა, პატიმრების ბედით ვაჭრობით. რა თქმა უნდა, ერთხელ რაღაცას გემოს რომ გაუსინჯავ, სულ გინდა. თან იქ ფული იოლად იშოვება, თუ ნამუსი და შუბლის ძარღვი არ გაქვს. ის ამ ყველაფერს უტრიალებს და სალომე ზურაბიშვილს მოვუწოდებ, კარგად დაფიქრდეს, ასეთ შარში საკუთარ თავს, ქვეყანას და პატიმრების ოჯახებს ნუ გახვევს.**

**სალომე ზურაბიშვილმა ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, როცა შეწყალების კომისია გააუქმა, ეს იყო მიუტევებელი შეცდომა. მერე შარში გაეხვია და ძალიან ძვირადაც დაუჯდა. მკვლელები და 30 წელი ძებნილები შეიწყალა და სკანდალი იყო. თქვა კიდევაც შოთაძემ, რომ როგორც კი ამოწურავს თავის ვადას სალომე ზურაბიშვილი, მაგ საქმეს მივხედავთო. სისხლის სამართლის საქმეს აღუძრავენ, ამაში დარწმუნებული ვარ აბსოლუტურად. რა იყო და როგორ იყო, არ ვიცი, მაგრამ ძალიან მძიმე ფაქტი იყო“,** – განაცხადა **ალეკო ელისაშვილმა.**

სახელისუფლებო გუნდში ამბობენ, რომ თუ პრეზიდენტი ეკა ბესელიას შეწყალების კომისიის ხელმძღვანელად დანიშნავს, ეს სალომე ზურაბიშვილის ოპოზიციასთან თანამშრომლობის მორიგი დამადასტურებელი ფაქტი იქნება. **შალვა პაპუაშვილის** განცხადებით, ეკა ბესელიას აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ფინანსდება უცხოეთიდან და მოუწოდებს, გაასაჯაროოს უცხოური დაფინანსებები.

**„ერთადერთი რამისკენ მოვუწოდებდი მედიას, დაინტერესდეს ქალბატონი ბესელიას უცხოური დაფინანსებით. პირადად ვერ ჩამოვყალიბდი, ეკა ბესელია პოლიტიკოსია თუ ენჯეოსექტორის წარმომადგენელი. მას აქვს „ენჯეო“, რომელიც ფინანსდება უცხოეთიდან და ამავე დროს ის არის პოლიტიკოსი. ეს არის აბსოლუტური ინტერესთა კონფლიქტი და შეუთავსებლობა. უპირველეს ყოვლისა, მას მოვუწოდებ, რომ გაასაჯაროოს საკუთარი უცხოური დაფინანსებები და ამის შემდეგ იმსჯელოს საზოგადოებამ. როდესაც პოლიტიკოსი ფინანსდება უცხოეთიდან პირდაპირი წყაროებით, როგორ შეიძლება, მას ჰქონდეს ნდობა ქართული საზოგადოების მხრიდან?“,** – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

თავად ეკა ბესელია ამბობს, რომ სალომე ზურაბიშვილთან კონსულტაციები აქვს, თუმცა არა შეწყალების კომისიის ხელმძღვანელად დანიშვნის საკითხზე. რაც შეეხება ელისაშვილის ბრალდებას, ამბობს, რომ არამზადაა და პასუხს მოსთხოვს.

**„ფრთხილად იყოს, რადგან პასუხს მოვთხოვ ისე, როგორც ის ამას იმსახურებს. კორუფციაში თავად ელისაშვილი იყო ჩართული და პატიმრების ბედით ვაჭრობდა, როცა ის შეწყალების კომისიის თავმჯდომარე იყო. არ ვიცი, ეს რატომ მოიგონეს და რისთვის დასჭირდათ. ტრიბუნასთან შალვა პაპუაშვილი დადგა და რამდენიმე ძალიან სულელური ფრაზა თქვა. მედიას მიმართა, რომ „მართლმსაჯულების სახლით“ დაინტერესდეს – გთხოვთ, დაინტერესდით! ეს არის საქველმოქმედო პროექტი, რომელსაც პირადად მეც ვაფინანსებ და აფინანსებს USAID, რომელიც არაჩვეულებრივ საქმეს აკეთებს.**

**გავიგე, რომ „ქართულ ოცნებას“ ნერვები ეშლება, თუ რატომ ვიცავ პრეზიდენტს და რატომ ვსაუბრობ მართლმსაჯულების პრობლემებზე, კლანს რატომ ვებრძვი, მაგრამ ნახეთ ელისაშვილის როლი – როგორი არამზადაა, რის გამოც პასუხს აუცილებლად მოვთხოვ. ერთხელ მე მას პროცესი მოვუგე, კომპენსაციაც გადაიხადა. როდესაც გაიყიდა, ფული გადაუხადეს, რომ ჩემი მისამართით შეურაცხმყოფელი განცხადებები გაეკეთებინა. ის იმას ამბობს, რასაც თვითონ აკეთებს – გაბრალებს იმას, რასაც თვითონ კადრულობს!“,** – განაცხადა **ეკა ბესელიამ.**

თუ პრეზიდენტი ქმნის ამ კომისიას, არ არის გამორიცხული, რომ ქმნიდეს იმისათვის, რომ რაღაც ლეგიტიმაცია მისცეს გარკვეული პირების შეწყალებას, მათ შორის შეიძლება იყოს მიხეილ სააკაშვილიც...

**თამთა ქარჩავა**

# ნავალნი 2008 წელს თბილისის დაბომბვასაც კი ითხოვდა, ახლა მოგინდათ მისი გმირად აღიარება?!



**...ნავალნის გარდაცვალების შეფასებისას ვერავინ უარყოფს, რომ 3 წლის წინ უცხოეთიდან რუსეთში მისი დაბრუნება გაბედული ნაბიჯი იყო, რაც საბოლოო ჯამში მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მაგრამ ძნელია ასეთი ფაქტის საყოველთაო შეფასების ფონზე არ ითვალისწინებდე მის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ.**

ყველას გვახსოვს, 2008 წლის ომის დროს, ის აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარებას და თბილისის დაბომბვასაც კი ითხოვდა, რის გამოც საქართველოში მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებაა. ამიტომ უცხოელებისთვის თავისი საქციელით ის შეიძლება მისაბაძიც იყოს, მაგრამ ქართველებისთვის ასეთი შეფასების მოსმენისას წინა პლანზე საქართველოსთან მისი დამოკიდებულება მოდის. ეს ბუნებრივია, რადგან ვინც ჩემი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას არ აღიარებს, ჩემთვის ის ყველა მიუღებელია.



ჩემი გმირია დავით აღმაშენებელი, რომელმაც გააძლიერა და გაზარდა საქართველოს საზღვრები.

ჩემი გმირია ცოტნე დადიანი, რომელმაც სამშობლოს სიყვარულისთვის, მეგობრობის უპრეცენდენტო თავდადება აჩვენა მტერსაც და მოყვარესაც.

ჩემი გმირია ქეთევან წამებული, რომელმაც სარწმუნოებისთვის და სამშობლოსთვის სიცოცხლე გაწირა.

ჩემი გმირია ერეკლე მეორე, რომელიც სამშობლოსათვის თავგანწირვის 40-მდე ჭრილობას ატარებდა საკუთარი სხეულით.

ჩემი გმირია თამარი, რომელიც ფეხშიშველი ადიოდა მთაზე და იქიდან ლოცავდა სამშობლოს დასაცავად მიმავალ ქართულ ჯარს.

მაგრამ ნავალნი ჩემთვის არა და ვერ იქნება გმირი. მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს. ამიტომ მეც მეტს არაფერს ვიტყვი მასზე. ის რუსი პატრიოტი იყო და რუსებმა შეაფასონ.

მაგრამ ეს ჩვენი აგენტ-ოპოზიციონერები და მათი ტელევიზიები, გმირად რომ აცხადებენ ნავალნის, თვითონ ვინ არიან, ერთიანი და მთლიანი საქართველოსთვის? როდესაც ნავალნის „გაურკვეველ ვითარებაში“ გარდაცვალებაზე მოთქვამენ, საინტერესოა, რატომ არ აწუხებთ ნაც-ხელისუფლების საპატიმროებში „გაურკვეველ ვითარებაში“ გარდაცვლილი ასეულობით ადამიანი? ციხის ჯალათების მიერ წამებაში მოკლული თეთრაძე. ნაწამები და ქუჩაში დაგდებული შავაძე. წამებაში მოკლული სანდრო გირგვლიანი და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული მისი დედა – ირინა ენუქიძე. ეკლესიის წინ ჩაცხრილული ბუტა რობაქიძე, გიორგი გამცემლიძე თუ ზურა ვაზაგაშვილი, რომელსაც მამა შვილის საფლავზე აუფეთქეს. კიდევ რამდენი და დაუსრულებლად შეიძლება ჩამოვწეროთ იმ უდანაშაულო ბიჭების გვარები, რომლებიც რეჟიმმა მხოლოდ იმისთვის ამოხოცა, რომ დანარჩენ საზოგადოებაში შიში და უმწეობის განცდა დაეთესა.

ახლა იმ რეჟიმის შემოქმედებს და მათ ჯიბის ტელევიზიებს თურმე ნავალნის სიკვდილი აწუხებთ. სინამდვილეში მათ ნავალნის გარდაცვალება კი არა, ამ სამწუხარო ფაქტის მხოლოდ სათავისოდ გამოყენება და თავიანთი ბელადის მასთან შედარებით რაღაც ქულების დაწერას ცდილობენ. როგორც ყოველთვის, ისინი ამჯერადაც მხოლოდ პარტიული ინტერესებიდან გამოდიან და ქვეყანას ტრადიციულად მომხმარებლურად აღიქვამენ.

**ნანა კაკაბაძე.**

# შოვის ტრაგედიის პროგნოზირება შეუძლებელი იყო!

**„გარემოს ეროვნულმა სააგენტომ“ გამოაქვეყნა 2023 წლის 3 აგვისტოს მდ. ბუბისწყლის ხეობაში განვითარებული სტიქიური მოვლენების შეფასების ანგარიში. საუბარია შოვში მეწყერსა და ღვარცოფზე, რასაც 33 ადამიანის, მათ შორის ბავშვების სიცოცხლე ემსხვერპლა.**

**რეკომენდაციებში მითითებულია, რომ მდინარე ბუბისწყლის ხეობაში სტიქიის გავრცელების არეალში (26 ჰა) დაუშვებელია რაიმე სახის ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა და არსებული შენობა-ნაგებობების ფუნქციონირება:**



**„უკანასკნელ წლებში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გლაციალური და გეოდინამიკური კასკადური მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდის გამო, კავკასიონის სამხრეთი ფერდის ზონაში არსებულ ტერიტორიებზე ნარჩუნდება სხვადასხვა მასშტაბის ბუნებრივი საფრთხეები. შესაბამისად, არსებული საშიშროების ხარისხის შეფასების მიზნით საჭიროა გაგრძელდეს კომპლექსური კვლევები. მდ. ბუბისწყლის ხეობაში სტიქიის გავრცელების არეალში (26 ჰა) დაუშვებელია რაიმე სახის ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა და არსებული შენობა-ნაგებობების ფუნქციონირება“.**

**გარდა ამისა, რეკომენდაციებში ნათქვამია, რომ მდინარე ბუბისწყლის ხეობაში და კურორტ შოვის სტიქიის გავრცელების არეალისათვის უნდა შემუშავდეს გადაადგილების წესები და მოეწყოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები.**

**სააგენტო ისევ ამტკიცებს, რომ განგაშის სისტემის მოწყობა სტიქიის სწრაფად განვითარებადობის და მისი ჩასახვის ზონიდან დასახლებულ პუნქტამდე მცირე მანძილის გათვალისწინებით, ვერ იქნებოდა ეფექტური დამდგარი შედეგების თავიდან ასაცილებლად.**

**ანგარიშის მიხედვით, 2023 წლის 3 აგვისტოს, მდინარე ბუბისწყლის ხეობაში, 15 საათსა და 10 წუთზე, ადგილი ჰქონდა კატასტროფული მასშტაბის გლაციალური ღვარცოფის გავლას, რომელმაც გამოიწვია კურორტ შოვის სრული ნგრევა, საავტომობილო გზების, ხიდების, ელექტროგადამცემი ხაზების მწყობრიდან გამოსვლა, შოვის მინერალური წყაროების გამოსავლების დაზიანება და რაც ყველაზე სავალალოა, ადამიანთა მსხვერპლი.**

**დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ჩატარებული კვლევების საფუძველზე ღვარცოფული ნაკადის შემადგენლობის, ხეობის დახრილობის (ენერგეტიკული პოტენციალი), მორფოლოგიური პირობების, მანძილის გათვალისწინებით და RAMMS-ის პროგრამული უზრუნველყოფით განხორციელებული მოდელირებით, ღვარცოფული მასის გადაადგილების საშუალო სიჩქარემ 18-24 მ/წმ შეადგინა. სტიქიის ჩასახვა-გააქტიურების ზონიდან, შოვის ე.წ. კოტეჯების უბნამდე ღვარცოფულ ნაკადს უნდა მიეღწია 7.5-10 წუთში.**

**სააგენტო ისევ იმეორებს, რომ სტიქიის დაწყებამდე და მიმდინარეობის პროცესში მდ. ბუბისწყლის აუზში წყლის გრძელვადიან შეგუბებას ადგილი არ ჰქონია. მათი თქმით, ამას ადასტურებს სტიქიამდე დაახლოებით 3 საათით ადრე გადაღებული სატელიტური სურათი და მდ. ჭანჭახზე (მდ. რიონის შესართავთან) არსებული ჰიდროლოგიური სადგურის მონაცემები. მცირე ზომის შეგუბებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ სტიქიის შემდგომ მდ. ბუბისწყლის და მდ. ჭანჭახის შესართავთან, რასაც მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგი არ მოჰყოლია.**

**სააგენტო ამტკიცებს, რომ მთელ მსოფლიოში ამ ტიპის მოვლენების ჩასახვა-გააქტიურების ზუსტი დროის პროგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია!**

---

## ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2024 წლის 31 იანვრის №1-1/4 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში: „სსე“) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის (KFW) თანადაფინანსებით, გურიის რეგიონში ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 მარტის **№**1-1/108 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმით“ გათვალისწინებულ 220/110 კვ. „ოზურგეთი-ზოტი ჰესის“ ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას („მშენებლობის პროექტი“). პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაკვანეთში მდებარე შპს „გურიის მთები“-ის (ს/ნ 437076664) საკუთრებაში არსებული 30 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 26.14.13.079) ნაწილის, კერძოდ, 180 კვ.მ.-ის გამოსყიდვის აუცილებლობა.

აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის (180 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების პირობით, რაზეც მესააკუთრემ განაცხადა უარი. ზ/ხსენებულ მიწის ნაკვეთზე ექსპრორპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, სსე-მ განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. 2024 წლის 31 იანვარს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გამოსცა **№1-1/42** ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაკვანეთში მდებარე შპს „გურიის მთები“ის (ს/ნ 437076664) საკუთრებაში არსებულ **30 000 კვ.მ.-ის ნაწილზე - 180 კვ.მ. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 26.14.13.079** ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს. უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

---

## ქართველი მხატვრის ბრუნო ვეფხვაძის ნახატის ასლი მთვარეზე



**პირველად მსოფლიო ისტორიაში NASA-მ ქართველი მხატვრის ნახატის ციფრული ასლი მთვარეზე გაგზავნა. საუბარია ბრუნო ვეფხვაძის ნახატის – „რომაული გაზაფხულის“ ციფრულ ასლზე. თავად ნახატი Sotheby's აუქციონზე 30 000 დოლარად გაიყიდა.**



კენედის სახელობის კოსმოსური ცენტრიდან პლანეტათაშორისი სადგური აფრინდა. ორბიტაზე ეს მოწყობილობა რაკეტა Falcon 9-მ გაიტანა. დაახლოებით 48 წუთში რაკეტა მთვარის ე.წ. გარდამავალ ორბიტაში შევიდა და 22 თებერვალს მთვარეზე, კრატერ მელაპერტის ახლოს დაჯდება. თავისი ნახატის მთვარეზე გაგზავნის შესახებ „შაბათ-კვირის დილის“ ეთერში თავად მხატვარმა ისაუბრა.

## თეა წულუკიანი — ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში

**საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედ სამუსიკო სასწავლებლებში ვიზიტს განაგრძობს. ამჯერად მინისტრი ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელს ესტუმრა და ცნობილ ქართველ პიანისტ გიორგი ვაჩნაძესა და მის მეუღლე, პიანისტ კიომი სუგიმურასთან ერთად პედაგოგებსა და მოსწავლეებს შეხვდა.**

მინისტრმა სასწავლებლის დირექტორ გიორგი ქორქაძეს მადლობა გადაუხადა სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვისა და სამუსიკო განათლების პრიორიტეტად ქცევის მიზნით დღემდე გაწეული შრომისათვის. გაიმართა შეხვედრა სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგებთან. საუბრისას ყურადღება გამახვილდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასა და მის ახალ



ხელმძღვანელთან სამუსიკო სასწავლებლების უფრო მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობასა და უწყვეტი განათლების აღდგენის შესაძლებლობებზე. თეა წულუკიანმა ასევე მადლობა გადაუხადა სასწავლებლის პედაგოგებს ენთუზიაზმისა და თავდადებული შრომისათვის.

## ლევან კოღუაშვილი: ხვიჩა კვარაცხელია ფეხბურთს ლამაზად და არტისტულად თამაშობს...



**რეჟისორმა ლევან კოღუაშვილმა CalcioNapoli24-tv-თან პირდაპირ ჩართვაში თავის ფილმზე „მეოთხე ბრაიტონი“ და ხვიჩა კვარაცხელიაზე ისაუბრა.** მისი თქმით, ეს ფილმი არის ქართველ მამაზე, რომელიც ფინანსური პრობლემების მქონე შვილის დასახმარებლად ნიუ-იორკში მიდის.

**„ის ცნობილი სპორტსმენია, რომლის როლს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ლევან თედიაშვილი ასრულებს. ის დაუმარცხებელი და პოპულარული სპორტსმენია საქართველოში. პროფესიონალი მსახიობი არ არის, მაგრამ ვფიქრობ, როლი ძალიან კარგად შეასრულა. ფილმი არის მამისა და შვილის ურთიერთობაზე, იმიგრაციაზე“,** — განაცხადა რეჟისორმა. ხვიჩა კვარაცხელიაზე საუბრისას, მან აღნიშნა, რომ ბოლო 1 წელია „ნაპოლის“ არც ერთი თამაში არ გამოუტოვებია.



**„ფეხბურთს ხშირად არ ვუყურებ, მაგრამ ბოლო 1 წელია „ნაპოლის“ არც ერთ თამაშს არ ვტოვებ. კვარაცხელია გახდა ძალიან მნიშვნელოვანი პერსონა და ფეხბურთი კვლავ შეგვაყვარა. ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში ფეხბურთი თითქოს „დაკარგული“ იყო და ხვიჩამ ის დააბრუნა. ის ფეხბურთს ლამაზად და არტისტულად თამაშობს. ხვიჩა გახდა ყველა ქართველის მეგობარი, მიუხედავად იმისა, რომ პირადად არ იცნობენ. ასე რომ, ის მნიშვნელოვანი პერსონაა. ხვიჩას უდიდესი გავლენა აქვს ქართველ ბავშვებზე, რომელიც ნელ-ნელა უბრუნდებიან საფეხბურთო სკოლებს. მან სპორტი და ფეხბურთი კვლავ ძალიან პოპულარული გახადა საქართველოში.**

**კითხვაზე, ხედავთ თუ არა ხვიჩა კვარაცხელიას კვლავ „ნაპოლიში“ თუ სხვა გუნდში, მაგალითად მადრიდის „რეალში“, კოღუაშვილმა უპასუხა: „მე როგორც რეჟისორი, ვფიქრობ, რომ „ნაპოლი“ კინემატოგრაფიული ადგილია. გადაღებისთვის ნეაპოლი ფანტასტიკური ადგილია, ამიტომ ფილმისთვის უკეთესია, თუ ნაპოლიში დარჩება. ჩემი გული იტალიურ კინოს ეკუთვნის“.**




# ცოტა „უკეთესობაა“!

## რას ცვლის გალის რაიონის მცხოვრებთათვის ე.წ. ბინადრობის მოწმობის გაცემის ახალი წესი?!

**რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ განაცხადა, რომ გაამარტივა გალის რაიონის მცხოვრებთათვის „ბინადრობის მოწმობის“ გაცემის წესი. ეს არის ვადიანი საბუთი, რომელსაც აფხაზეთში მცხოვრებ „უცხო ქვეყნის“ მოქალაქეებს აძლევენ. ასეთად კი დე ფაქტო მთავრობა მიიჩნევს საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებს, ანუ გალელების უდიდეს ნაწილს. ისინი სწორედ „ბინადრობის მოწმობით“ ახერხებენ ოკუპირებული რეგიონიდან საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადასვლას.**

2024 წლის თებერვლიდან ძალაში შევიდა „აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის კანონში“ ორი თვის წინ შეტანილი ცვლილება. უკვე გაცემული „ბინადრობის მოწმობების“ მოქმედების ვადა ხუთიდან ათ წლამდე გაიზარდა, ხოლო მათთვის, ვინც პირველად იღებს, წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი განისაზღვრა.




აფხაზეთის ე.წ. შსს-ს გალის რაიონული განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა ტატიანა ჩისტიაკოვამ გალის ტელევიზიას უთხრა, რომ ხუთწლიანი „ბინადრობის მოწმობის“ მფლობელები დამატებითი საბუთების წარდგენის გარეშე შეძლებენ ვადის გახანგრძლივებას. მათ კი, ვინც მოწმობას პირველად იღებს, მოუწევთ დაადასტურონ, რომ ბოლო ათი წელია აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და კონკრეტული საბუთები წარადგინონ. მათ შორისაა დაბადების მოწმობა, საბჭოთა კავშირის მოქალაქის პასპორტი, ფორმა №9, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, შრომის წიგნაკი, ცნობები საცხოვრებელი და სამუშაო ადგილებიდან, სკოლამდელი დაწესებულების დამთავრების და სრული ან არასრული ზოგადი განათლების მიღების ცნობები და პროფესიული ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. როგორც ჩისტიაკოვა ამბობს, ამ საბუთების არქონის შემთხვევაში, განმცხადებელს უფლება აქვს წარადგინოს სხვა დოკუმენტი, რომელიც გაცემულია „სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ და დაადასტურებს აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების ათწლიან ვადას“.

გალის დე ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კონსტანტინე ფილია ირწმუნება, რომ „ბინადრობის მოწმობის“ მიღება დიდ ხარჯთან დაკავშირებული არ არის.

**„ერთადერთი გადასახადია სახელმწიფო ბაჟი და ბლანკის საფასური. გადახდა ბანკში ხდება, რათა ადამიანებს სხვასთან არავისთან საქმე არ ჰქონდეთ. მინდა, რომ ეს ჩვენმა ხალხმა გაიგოს, რადგან არიან ხოლმე ინიციატივის გამომჩენი პირები, რომლებიც დადიან და დახმარებას ჰპირდებიან. არავის არანაირი დახმარება არ სჭირდება. ადამიანები მშვიდად მიდიან საპასპორტო სამსახურში, სადაც დოკუმენტებს სამი თანამშრომელი ამუშავებს“,** – განუცხადა ფილიამ გალის ტელევიზიას. მან არ დააკონკრეტა ე.წ. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა.

როგორც რადიო თავისუფლებას უთხრეს ოკუპირებულ გალის რაიონში მცხოვრებმა მოქალაქეებმა, მათ 2020 რუსული რუბლის, დაახლოებით 60 ლარის გადახდა მოუწევთ, რაც მძიმე ეკონომიკური პირობების გამო მარტივი არ იქნება. მიუხედავად ამისა, კმაყოფილი არიან, რადგან ვისაც „ბინადრობის მოწმობა“ უკვე აქვს, ხელახლა არ მოუწევს საბუთების წარდგენა და სოფლებიდან ქალაქ გალის ე.წ. საპასპორტო განყოფილებაში რამდენჯერმე მისვლა. სოფელ ნაბაკევში მცხოვრები რესპონდენტი, რომლის ვინაობას მისივე თხოვნით არ ვასახელებთ, გვეუბნება, რომ პროცედურის გამარტივებას წინ უძღოდა მოქალაქეთა დიდი უკმაყოფილება:

**„ერთი ამბავი იყო. გაუთავებელი ჩივილები. დღეს უფრო გამარტივებულია, რაც იყო იმასთან შედარებით. ამ საბუთის გარეშე ვერსად წახვალ, გზაში შეიძლება დაგიჭირონ. ამიტომ, ცოტა უკეთესობაა. უკეთესობა გრჭყალებში. მაგრამ თუ ეს საბუთი ექნება ყველას, არ დაცარიელდება სოფელი“.**

ვისაც ახალი „ბინადრობის მოწმობა“ სჭირდება, მისი დამზადების პროცესი შესაძლოა, ერთ წლამდეც გაგრძელდეს. მანამდე მოქალაქეებს შეუძლიათ ე.წ. საზღვრის გადასაკვეთად აიღონ ფორმა №9-ის სახელით ცნობილი „დოკუმენტი“. ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთა გალელებს შეუძლიათ ძველი საბჭოთა პასპორტითაც. გალის რაიონის მცხოვრებთ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, დე ფაქტო ხელისუფლება არ აძლევს ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტს. მის გარეშე კი, მაგალითად, შეუძლებელია უძრავი ქონების გაყიდვა, ან შეძენა. რადიო თავისუფლების რესპონდენტი იმ მცირერიცხოვან გალელებს შორისაა, რომლებმაც ე.წ. აფხაზური პასპორტის მიღებას მიაღწიეს ისე, რომ საქართველოს მოქალაქის პასპორტი არ დათმეს. ჩვენმა რესპონდენტმა ამ ბრძოლას 6 წელი მოანდომა:

**„პრინციპის გამო გავაკეთე ეს. 83 წლის ქალი ვარ. მთელი ცხოვრება ამ მიწა-წყალზე ვცხოვრობ. სამჯერ პარლამენტში (დე ფაქტო) ვიყავი. რა არ ვიღონე. ექვსი სასამართლო გამოვიარე. ძლივს ავიღე. კი არ ამიღია, წავართვი. სიცოცხლის ფასად ვერ დავუთმობ ჩემს მოქალაქეობას“.**

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ხელისუფლების მონაცემებით, ამჟამად გალის რაიონში 30 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. მათგან დაახლოებით 5000-ს მხოლოდ ერთი საბუთი, ე.წ. ფორმა №9 აქვს, 1130-ს „აფხაზური პასპორტი“ და 21 500-ს „ბინადრობის მოწმობა“. დამოუკიდებელი წყაროებით ეს მონაცემები გადაუმოწმებელია.

**თამარ ზანთარაია**

# საქართველო რადიაციის მონიტორინგის საერთაშორისო სისტემას შეუერთდა



**საქართველო ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს რადიაციის მონიტორინგის საერთაშორისო სისტემას (IRMIS) შეუერთდა.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მფლობელობაში არსებული გარემოს რადიაციული ფონის მონიტორინგის სადგურებიდან გამოსხივების მაჩვენებლები ავტომატურად მიეწოდებაIRMIS სისტემას და მიმდინარე რეჟიმში აისახება საერთაშორისო რუკაზე. საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით შექმნილი IRMIS სისტემა მნიშვნელოვანი მექანიზმია ბირთვული ან რადიოლოგიური საგანგებო სიტუაციების ადრეული შეტყობინებისა და რეაგირების მართვის პროცესში. სისტემაში ჩართული სახელმწიფოების მონაცემები ბუნებრივი რადიაციული ფონის მიმდინარე რეჟიმში მონიტორინგისა და შესაბამისად, ეფექტიანი გადაწყვეტილებების დროული მიღების შესაძლებლობას იძლევა.

**„IRMIS სისტემაში ჩართვა ადასტურებს საქართველოს ერთგულებას ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართ“,** – აღნიშნა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს უფროსმა ხატია ჯიქურიძემ.




# საქართველოს უნივერსიტეტებში გარკვეულ პროფესიებს ონლაინ შეისწავლიან

**საქართველოს უნივერსიტეტებში გარკვეულ პროფესიებზე შესაძლოა, ონლაინ სწავლება იყოს ხელმისაწვდომი. ამის შესახებ პარლამენტის 2024 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაშია აღნიშნული.**

როგორც მთავრობის გეგმაშია ნათქვამი, ცვლილების შეტანა იგეგმება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში.

**კანონში განისაზღვრება დისტანციური ფორმით პროფესიული პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა;**

**დაკორექტირდება ელექტრონული სწავლების ცნება და ჩამოყალიბდება ახლებურად;**

**ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში ნაწილობრივ იქნება დაშვებული ელექტრონული სწავლება;**

**შესაძლებელი იქნება, მაგისტრატურაში სწავლა განხორციელდეს ელექტრონულად, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა ხელახლა გაივლის აკრედიტაციას;**

**განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი დაადგენს სწავლის სფეროების ჩამონათვალს, სადაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული სწავლების კომპონენტის ნაწილობრივ ან სრულად გამოყენება.**

# რეგიონში პირველი დიზაინის ინსტიტუტი თბილისში გაიხსნა




**17 თებერვალს უზნაძის ქუჩაზე (№82) დიზაინის ინსტიტუტის გაიხსნა. ინსტიტუტი ძველ თბილისში, მე-19 საუკუნის ისტორიული შენობის ხუთ სართულზეა განლაგებული. აკადემიური საქმიანობის გარდა, ინსტიტუტის შიდა და გარე სივრცეები შეკრების ადგილი იქნება სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებებისთვის.**

ინსტიტუტში გაიხსნება წიგნის მაღაზია თემატური წიგნებით და საგამოფენო სივრცით. დიზაინის ინსტიტუტი შემოქმედებითობაზე და დიზაინზე ფოკუსირებული, რეგიონული საგანმანათლებლო კვლევითი ინსტიტუციაა სტუდენტებისთვის და პროფესიონალებისთვის. დიზაინის ინსტიტუტმა სტუდენტების მიღება თებერვლიდან დაიწყო, სტუდენტებს და პროფესიონალებს უკვე აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ მცირეხნიან და ხანგრძლივ კურსებზე, ვორქშოპებსა და მასტერკლასებზე. სწავლის მიმართულებები დიზაინის სრულ სპექტრს მოიცავს: ჩანახატიდან პროტოტიპის შექმნამდე, დიზაინის ისტორიიდან დიზაინ პროგრამებამდე, კონცეფციების შექმნიდან დაკაბადონებამდე. დიზაინის ინსტიტუტი ასწავლის სტრუქტურულ აზროვნებას, სტრატეგიულ დიზაინს, გრაფიკას, ყველა სახის მოძრავ ანიმაციას, ფერს, კრაფტს, დიზაინის ისტორიას, ვირტუალურ რეალობას და ნებისმიერ მიმართულებას, რაც დიზაინს მოიცავს.

ინსტიტუტმა თავი მოუყარა დიზაინის სფეროში მომუშავე 100-მდე ქართველ და უცხოელ სპეციალისტს – პროფესიონალებს, რომლებიც ქმნიან შემოქმედებითი ინდუსტრიის კულტურას. დიზაინის სფეროს საუკეთესო წარმომადგენლები გაუზიარებენ თავის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ახალ თაობას და ფართო აუდიტორიას. დიზაინ ინსტიტუტის პარტნიორები არიან ქართველი და საერთაშორისო კერძო და საჯარო ინსტიტუციები, სახელოვნებო ფესტივალები, მუზეუმები, მედია ორგანიზაციები, გამომცემლობები.

მოამზადა
**რუსუდან ქობულიამ**



სარაევო. 2017 წ. ვეტერან მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი. გივი ქენქაძემ 43 წამში დაამარცხა რუსლან აშურალიევი (რუსეთი).

# სიცოცხლის რისკის ფასად უშედეგოდ გადადგმული შერიგების ნაბიჯი!..

## როგორ შეასრულა სამხედრო ოფიცერმა სამშვიდობო დიპლომატიური მისია?!



გივი ქენქაძე (მარჯვნიდან მეორე) გამარჯვებულ კოლეგებთან ერთად

**1991-92 წლებში პატარა ლიახვის ზემო წელის მიმდებარე სოფლები ერედვი, ქსუისი, დმენისი და ვანათი ნამდვილ დენთის კასრს წარმოადგენდნენ და მოსახლეობა ყოველ წამს ცეცხლსა და აფეთქებას ელოდა. ქ. ცხინვალს კი ხან ქართველები, ხან ოსები აკონტროლებდნენ. იმ დროს სოფ. დმენისი ოს და ჩრდილოკავკასიელ ბოევიკებს ეკავათ, ხოლო მის გასათავისუფლებლად საპირისპირო ერედვის მხარეს მდგარ „დიდგორის" ბატალიონს, ვიცე-პოლკოვნიკ გივი ქენქაძის მეთაურობით. მაგრამ ამ უკანასკნელთ სტრატეგიული თვალსაზრისით წამგებიანი პოზიცია წინსვლის პერსპექტივას არ აძლევდათ.**

სოფელ ერედვსა და დმენისს შორის ფართო გაშლილ ტაფობს თითქმის 150-მეტრიანი ხიდი აერთებს, რომელიც მაღალ ბუნებრივ კლდოვან ბურჯს ებჯინება. სწორედ ეს ბუნებრივი საბრძოლო სტრატეგიული სიმაღლე გახლდათ ოსთა მხარის დასაყრდენი, რომელიც პირდაპირი თავდასხმისაგან კარგად იყო დაცული. ხოლო მათ ზურგში იყო სოფელი დმენისი და მისი „მორჩილი" მოსახლეობა. ყოველი მხრიდან უსაფრთხოების სრული გარანტია დიდ უპირატესობას აძლევდა მოწინააღმდეგის მხარეს. ამ ვითარებაში გამაგრებულ პოზიციებთან მიახლოება მხოლოდ ხიდის გავლით იყო შესაძლებელი და ზემოდან „ხელის გულზე" სამზერ ხიდზე ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ობიექტი ბოევიკებს მიზანში ჰქონდათ ამოღებული. ისე, რომ „დიდგორელებს" მოწინააღმდეგესთან მიახლოებამდე ბრძოლის დაწყება მხოლოდ აშკარა „სიკვდილის ხიდის" გავლით შეეძლოთ, რაც ყოველგვარი საღი აზრის მიღმა რჩებოდა და სოფლის გათავისუფლებაც უკვე ქართველთა შესაძლებლობებს სრულიად აღემატებოდა.

ქართველმა მეთაურმა სამხედრო საქმის ღრმა ცოდნით და გამოცდილებით სწორად შეაფასა არსებული რთული ვითარება და გადაწყვიტა რადაც არ უნდა დაჯდომოდა უსისხლოდ მოეგვარებინა ოსებთან კონფლიქტი. მაშინვე მოიწვია ბატალიონის ათმეთაურები და მათ გაანდო თავისი სამოქმედო გეგმა. გეგმის მიხედვით იგი უნდა წასულიყო მტრის ბანაკში უიარაღოდ მარტო მათ მეთაურთან შესახვედრად და ცეცხლის შეწყვეტაში მისი დარწმუნების შემდეგ საკუთარ თავზე აღებული სამშვიდობო დიპლომატიური მისია შეესრულებინა. ათმეთაურებმა კარგად უწყოდნენ ვიცე-პოლკოვნიკის საბრძოლო შესაძლებლობები, მაგრამ არაორდინარულ სიტუაციაში უიარაღოს რომ დიდი საშიშროება ემუქრებოდა მტრის ბანაკში – ეჭვს არ იწვევდა. ოსთა მხარეს შეეძლო მისი მძევლად აყვანა, მერე ვაჭრობის დაწყება, ან სულაც მისი ლიკვიდაცია. მაგრამ ვიდრე ამას შეძლებდნენ ბატონ გივის საშინაო დავალების მიხედვით მათთვის უნდა დაესწრო და მხოლოდ ცივი გონებით ემოქმედა. მისთვის ღვთისაგან მიმადლებული ნიჭის წყალობით ფსიქოლოგიური ზეგავლენა უნდა მოეხდინა არა მარტო სამხრეთელ, არამედ ჩრდილო კავკასიელ ოსებზეც. ეს კი, ურთულესი ამოცანის წინაშე აყენებდა მას და მის ჩანაფიქრს თითქოს პერსპექტიულობასაც უკარგავდა. თანამებრძოლებმა მეთაურს უთხრეს, რომ ეს საქმე უდიდეს რისკთანაა დაკავშირებული და ურჩიეს ჩანაფიქრზე ხელი აეღო. მაგრამ მეთაურს გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა და იგი არავითარ შემთხვევაში უკან არ დაიხევდა ქართველთა და ოსთა შესარიგებლად. მან მაშინვე განკარგულება გასცა ახლომდებარე სოფლებში შერეული ოჯახებიდან მოეძებნათ ქართველების ოსი რძალი (რაც იშვიათობას არ წარმოადგენდა) მოწინააღმდეგე მხარესთან გასაგზავნად. მოძებნეს კიდეც ასეთი ქალბატონი და მეთაურმა მას ოს კოლეგასთან გულახდილად დააბარა: – მოვდივარ უიარაღოდ მოლაპარაკების მიზნით და არავითარი სხვა სურვილი არ გამაჩნიაო. როგორც კი იქითა მხრიდან თანხმობა მოვიდა ქართველი „პარლამენტიორი" წასასვლელად მოემზადა და დაუყოვნებლივ ფრიად საპასუხისმგებლო ამოცანის შესასრულებლად გაემართა.

მიდის გრძელ ხიდზე ბატონი გივი და ათასი ფიქრი უტრიალებს თავში: ხომ შეიძლება ჯერ არშესრულებულ შეთანხმებას ვინმემ რამენაირად შეუშალოს ხელი, ან მოლაპარაკების ჩაშლის მიზნით პროვოკაცია მოაწყოს (რაც ხშირად ხდებოდა), ან მშვიდობის მისიის შემსრულებელი თავიდან მოიცილოს და სხვა... მაგრამ ჩვენი გმირი მოლაპარაკების შესაძლო ჩაშლაზე უფრო წუხდა, ვიდრე საკუთარ თავზე. და მაინც... იგი ყოველი საბრძოლო მოქმედებისას უბით ატარებდა პატარა ტომსიკით წინაპართა საფლავებიდან აღებულ მიწას და ამით თავს იმშვიდებდა. ამჯერადაც ასე იყო. ამ ფიქრებში იყო გართული, რომ ხიდიც დამთავრდა და აღმართში გზა ორღობით გააგრძელა. მერე დამრეც აღმართს შეუყვა და მტრის პოზიციებთან მისვლამდე წინ შემოეგება წარმოსადეგი შესახედაობის, ზორბა ტანის ოსი ახალგაზრდა. ვიდრე ერთმანეთს ხელს ჩამოართმევდნენ და პირად თანამდებობებს და გვარ-სახელებს გაცვლიდნენ, ჩვენმა მეთაურმა მასპინძელს სიტყვა დაასწრო და ორი ხალხის სათაყვანებელი წმინდანები და სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციული ვალი ჩვეული პირდაპირობით შეახსენა: – ქართველებს წმინდა გიორგისა, ოსებს კი წმინდა „ვასტერჯის" მადლი უფლისაგან გვაქვს მირონცხებული. ხოლო სტუმარს, თუნდაც მტრადგანწყობილს ჩვენ და ჩვენი წინაპრები მუდამ პურღვინით ვხვდებოდით. დღეს კი... და მრავალმნიშვნელოვნად ზეშემართა ხელები. ქართველის მოულოდნელმა ჯიქურმა პირდაპირობამ და შემპარავმა იუმორმა ისე დააბნია ოსთა მეთაური თეზიევი, რომ შესახედავად ახოვანი ვაჟკაცი უნებლიეთ შეცბა და საუბარი ქართველის სასარგებლოდ წარიმართა. თუმცა მეთაურმა თეზიევმა მაინც მოახერხა და სტუმრისათვის სუფრის გაწყობის ბრძანება გასცა და იქვე პატარა მოვაკებულზე მდგარ გრძელ სკამზე სტუმარი დასაჯდომად მიიპატიჟა.

კოლეგა უკვე „განიარაღებული" იყო და ჩვენმა გმირმა მშვიდად აუღელვებლად დაიწყო: – კარგად მოგეხსენებათ ქართველი და ოსი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის შესახებ. ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში თამარ მეფის და დავით სოსლანის ერთობლივმა ბრძნულმა გადაწყვეტილებებმა სამუდამოდ შეაკავშირეს ქართველები და ოსები და ისინი საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. მანამდე კი, დიდმა დავით აღმაშენებელმა კავკასიონი ჯარით გადაიარა, ყივჩაღთა მეფის ქალიშვილზე იქორწინა და იქიდან 40 ათასი ოჯახი საქართველოში გამოიყოლა. გზად ოსთა მეფეს ეწვია, მუდმივი მტრები ოსები და ყივჩაღები შეარიგა და ისინი ერთმანეთთან დაამეგობრა.

სწორედ აქედან მოდის ქართველ და ოსთა დიდი ნათესაობა და მეგობრობა. ამ ისტორიულ მონაპოვარს ჩვენ და ჩვენი წინაპრები დღემდე დიდი კრძალვით და რუდუნებით ვუფრთხილდებოდით, მაგრამ დღეს ვიღაცამ მოინდომა საწამლავი გაერია ჩვენი მეგობრობის საერთო წმინდა „ქოცოში ჩასხმულ ტკბილ ბადაგში", მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის დუღაბი დაენგრია და ჩვენ ხალხებს შორის მტრობა ჩამოეგდო. სამწუხაროდ ნაწილობრივ მან მიზანსაც მიაღწია. იმდენად გაიდგა ფესვები ბოღმითა და შურით სავსე კაცის გულმა და ენამ, რომ ვერც ჩვენმა და ვერც თქვენმა ფსევდო პოლიტიკოსებმა სწორად ვერ შეაფასეს საერთო მტრის მზაკვრული ჩანაფიქრი. არ ეყოთ პოლიტიკური ალღო და უსამართლო, მანიაკალური ომი წამოიწყეს.

ახლა მე და შენ ვდგავართ ერთმანეთის პირისპირ მტრულად განწყობილნი და საერთო მტრის ნებას ვასრულებთ. აბა მითხარი რა გვაქვს ჩვენ გასაყოფი? – აშკარად ჩანდა ჩვენი მეთაურის მიერ ჩატარებულმა ისტორიის და ფსიქოლოგიის გაკვეთილებმა ნაყოფი გამოიღეს. ბატონ თეზიევს დაძაბულობა მოეხსნა და უკვე დამშვიდებული სახით სტუმრის მიერ მოყვანილ არგუმენტებს აშკარად ეთანხმებოდა.

რადგან პირველი წარმატება მიღწეული იყო ჩვენმა „სამხედრო დიპლომატმაც" არ დააყოვნა და მოლაპარაკების მეორე უფრო მთავარ ეტაპზე გადავიდა: – მოდი ხელის ჩამორთმევით შერიგების სიტყვა მივცეთ ერთმანეთს და დავიწყოთ დიდი შერიგების პროცესი. მეთაურებმა ვაჟკაცურად ჩამოართვეს ხელი და თვალებში ჩახედეს ერთმანეთს. რადგან უპირატესობა ქართველის მხარეს იყო, ისევ მან გააგრძელა დასაწყისი იმ დიდი საქმისა, რომელიც შერიგების პროცესს უძღოდა წინ: – ხალხი ბრძენია და ვფიქრობ ჩვენს გადაწყვეტილებას დიდი სიხარულით შეხვდება ომით განაწამები და მშვიდობას მონატრებული მოსახლეობა. უპირველეს ყოვლისა, სიტყვას გაძლევთ, ჩემი ბრძანებით თქვენ მიმართ ტყვია კი არა, ქვაც არ გავარდება, მაგრამ თქვენგანაც ამასვე მოვითხოვ. – დაამთავრა სიტყვა ჩვენმა მეთაურმა.

განცვიფრებული და მაინც ოდნავ შეცბუნებული ბატონი თეზიევი, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობით გამოწვეული ნერვიულობისაგან მუხლები უკანკალებდა, ქართველი კოლეგის პირობებს სრულიად დაეთანხმა. ამასობაში სურსათ-სანოვაგეც მოიტანეს და სუფრაც გაიშალა. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა შეთანხმებულ მეთაურებს ჭიქები ხელში ეკავათ და შერიგების სადღეგრძელოს შესმას აპირებდნენ, ზემო მხრიდან, სოფელ ერედვის ე.წ. „წითელი მიწების" ფართობებიდან „თანამეინახეთა" მიმართ ატყდა ისეთი აგრესიული და შეუჩერებელი სროლა, რომ ნასროლი ტყვიებისაგან ჩამოცვენილი ტოტები და ფოთლები ორივეს თავზე გადაეყარათ. ტყვიებს შემთხვევით გადარჩენილი და ამჯერად შეცბუნებული ჩვენი მეთაური იძულებული გახდა გამომშვიდობებოდა ოს მეთაურს. უწყვეტი კონონადის ფონზე მიმავალ ქართველს კი ოსმა ასეთი სიტყვები დაადევნა: – ხომ ხედავ გივი, ჯერ კიდევ ვიღაცას არ უნდა ჩვენი შერიგება და ეს ალბათ ძნელი მისაღწევი იქნებაო.

ორ მოძმე ხალხს შორის ხელოვნურად შექმნილმა მტრობამ და შეურიგებლობამ ორივესთვის უმძიმესი შედეგი გამოიღო. შედეგი კი, მეტად სავალალო და ტრაგიკული აღმოჩნდა. შემდგომში რუსეთმა აშკარა ჩარევის შემდეგ, მისთვის დამახასიათებელი მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის მიმართ აღვირახსნილი და სისხლისმღვრელი ოპერაციები განახორციელა. აღგავა პირისაგან მიწისა მისი ეზო და სახლ-კარი, სარჩო-საბადებელი და თვალწარმტაცი ბაღვენახები. განსაკუთრებით ერთ დროს უმშვენიერეს სოფელ ერედვში, როგორც დიდი ლიახვის ყველა სოფელში, დღეს ყველა სახლი დამწვარი და დანგრეულია. ამ უსასტიკესი აქტის შედეგად გამოწვეული სულისშემძვრელი და შემაძრწუნებელი სურათის უშუალო მოწმე და თვითმხილველი თქვენი მონა-მორჩილი გახლავართ და დღემდე ძნელად დასავიწყებელია იქ მომხდარი არნახული ტრაგედიის და ბოროტების აშკარა ნაკვალევი. მითუმეტეს, რომ სამოციანი წლების დასაწყისში ცხინვალში სტუდენტობისას კარგად მახსოვს ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში ქართველი და ოსი ხალხების ახლო ნათესაურ-მეგობრული ურთიერთობები, საერთო ოჯახები, გემოვნებით წამოჭიმული ორსართულიანი სახლები და წინ მშვენიერი ბაღ-ვენახები, მდიდარი, სტუმართმოყვარე, ლაღი და ალალმართალი ხალხი მეგობრულად და მშვიდობიანად თანაარსებობდა.

სწორედ ამ ხალხს მოუწყო რუსეთმა სიცოცხლის, სოციალურ-ეკონომიკური გენოციდი და ათიათასობით ბედნიერი ოჯახი გააუბედურა.

ისტორიული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დიდი ვაჟა ფშაველას უკვდავი პოემის „სტუმარ-მასპინძლის" პერსონაჟების – ზვიადაურის და ჯოყოლას ბნელი ძალების მიერ უსამართლოდ დასჯის ანალოგიური ტრაგიკული მოვლენა გახლავთ ქართველ და ოს ხალხებს შორის „მურმანის ეკალივით" მტრულად ამოსული რუსეთის მზაკვრული მოქმედებები. ოსთა ისტორიული „მასპინძელი" საქართველო დღეს სტუმართან ერთად დროებით დამარცხებულია, ხოლო ამ ორი ხალხის დაუძინებელი მტერი რუსეთი ასევე დროებით გამარჯვებული. მხოლოდ დროებით!

**ბატონ გივის ომში არაერთხელ პირდაპირ ჩაუხედავს სიკვდილისათვის თვალებში. ყოველთვის მამაცურად ხვდებოდა მტერს და ამიტომაც ის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა ბრძოლის ველიდან. მაგრამ დღეს სრულიად სხვა, უფრო ვერაგ მტერთან, ონკოლოგიურ დაავადებასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული და სიკვდილს შეუპოვრად და მამაცურად ებრძვის. ვფიქრობთ, წერილში გამოხატული თანაგრძნობა და მისი გმირობის ერთი ეპიზოდის შეხსენება დადებითად იმოქმედებს მასზე და უსაზღვროდ შეყვარებულ ჯანსაღ სიცოცხლეს აუცილებლად დაუბრუნდება.**

**დიმიტრი მუხაშვილი**



ტრიუმფი

# უკვე მეორედ!

**რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში მიმდინარე თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატზე გივი მაჭარაშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა და ზედიზედ მეორედ ევროპის ჩემპიონი გახდა.**

97 კგ წონითი კატეგორიის ფინალში მაჭარაშვილმა აზერბაიჯანელი მამედხან მაგომედოვი დაამარცხა და ტიტულის შენარჩუნება მოახერხა. ეს საქართველოს პირველი ოქროა მიმდინარე კონტინენტის პირველობაზე. 70 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალს დასჯერდა აკაკი ქემერტელიძე, რომელმაც დიდებულად იასპარეზა და ფინალში გავიდა, სადაც სომეხ არმან ანდრეასიანთან მარცხი განიცადა და უმაღლესი სინჯის მედალს ვერ შესწვდა. 61 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა რიზერტ დინგაშვილმა, რომელმაც ნახევარფინალამდე მისვლა მოახერხა და მესამე ადგილისთვის ბრძოლაში საფრანგეთის სახელით მოასპარეზე ილმან მუხტაროვი 11:0 დაამარცხა.

79 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს დაეუფლა ავთანდილ კენჭაძე, რომელმაც ნახევარფინალში განიცადა მარცხი, მაგრამ ბერძენ გეორგიოს კუგიომციდისს აჯობა და მესამე ადგილი ერგო. 65 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს შანსი ჰქონდა გოდერძი ძებისაშვილს, მაგრამ მან გადამწყვეტი შეხვედრა გერმანელ ანდრე კლარკთან დათმო (3:5) და კვარცხლბეკს მიღმა დარჩა. ამრიგად, საქართველოს ნაკრების აქტივში ჯერჯერობით 1 ოქროს, 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალია, გენო პეტრიაშვილი ფინალში იჭიდავებს, კიდევ სამ ქართველ მოჭიდავეს კი ბრინჯაოს შანსი აქვს.



# ლეგენდა ლეგენდად დარჩა

**მთელი** ცხოვრება ბრძოლაში გალია: ხალიჩაზე ვეფხვივით აეტოტებოდა მეტოქეებს, ზოგს მის მიღმა არ უთმობდა გოჯს. ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა და მქუხარე ოვაციებსაც იმსახურებდა.

ასეთი გახლდათ ბექდაუდებედი ფალავანი, ქართული სპორტის ლეგენდა **ლევან თედიაშვილი**, რომელიც დღეს უკვე ჩვენ შორის აღარ არის — საუკუნო სასუფეველში გადაინაცვლა.

1948 წლის 15 მარტს საგარეჯოში დაბადებულ-გაზრდილმა მომავალმა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჭიდაობა სოფელში ისწავლა ნახერხმოყრილ სარბიელზე. 14 წლის იყო, საგარეჯოელმა მწვრთნელმა ვალერიან მეკოკიშვილმა რომ მიაქცია ყურადღება და ლევანიც მასთან ჭიდაობის სექციაში ჩაეწერა. კაკაბეთში ერთ-ერთი შეჯიბრებისას არსენ მეკოკიშვილმა ვახტანგ ბალავაძეს უთხრა, ერთი იმ ბალღის ორთაბრძოლებს დააკვირდიო. „ჭიდაობის პროფესორიც“ დააკვირდა, მოეწონა და ნიჭიერი ყმაწვილი თბილისში წამოიყვანა, თავისთან დააბინავა და საერთაშორისო სარბიელზე გზის გაკვალვაშიც დაეხმარა. შეგირდმაც არ დაალალატა.

თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების 2-გზის გამარჯვებულმა (1972, 1976) მსოფლიოს ჩემპიონატების ოთხი (1971, 1973, 1974, 1975), ევროპისა და საბჭოთა კავშირის პირველობების 3-3 ოქროს მედალი მოიპოვა. საგულისხმოა, რომ 1973 წელს ლევან თედიაშვილი თეირანის ხალიჩაზე თავისუფალში მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, რამდენიმე დღეში კი იქვე სამბოშიც ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მერე თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს თასიც დაისაკუთრა. საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონობაც მოიპოვა.

1971, 1973 და 1974 წლებში საქართველოს, 1973 წელს კი საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ 1999 წელს ორგანიზებულ გამოკითხვაში XX საუკუნის მესამე საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა (მძლეოსან ვიქტორ სანეევის და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გივი კარტოზიას შემდეგ) და ბრინჯაოს პრიზი გადაეცა.

ლევან თედიაშვილი ერთადერთი მოჭიდავე გახლდათ, რომელმაც ჩემპიონის ტიტული სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში მოიპოვა: 82 და 90 კგ წონებში ოლიმპიადა და მსოფლიოს პირველობები მოიგო, 100 კგ წონით კატეგორიაში კი — ევროპის ჩემპიონის ტიტული. 1987 წელს გამოვიდა რეჟისორ გიორგი შენგელაიას ფილმი „ხარება და გოგია“, რომელშიც მთავარ როლებს ლევან თედიაშვილი და საამაყო ველოსიპედისტი ომარ ფხაკაძე ასრულებდნენ. სახელოვანმა ფალავანმა მსოფლიოს ახალი ამპლუითაც დაამახსოვრა თავი. საქართველოს ერთიანობისთვის იბრძოდა აფხაზეთში ვაჟთან ერთად. 1993 წლის 22 სექტემბერს ბაბუშერას აეროპორტში აფეთქებულ თვითმფრინავს შეეწირა მისი 19 წლის შვილი ვახტანგი.

1993-1995 წლებში ლევან თედიაშვილი გახლდათ სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებული კახეთის რეგიონში. მომდევნო წლებში საქართველოს მეოთხე და მეხუთე მოწვევის პარლამენტის წევრი იყო.

თბილისის საპატიო მოქალაქე, 2005 წლიდან ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) დიდების დარბაზის წევრი, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი, ქართული სპორტის ლეგენდა ლევან თედიაშვილი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 2024 წლის 17 თებერვალს გარდაიცვალა.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

ჩემპიონი

# ილიას ქამარი

**ჩვენს ქვეყანას UFC-ის ქვემსუბუქი წონის ჩემპიონი ჰყავს! ილია თოფურიამ ქამრისთვის ბრძოლაში ავსტრალიელი ალექსანდერ ვოლკანოვსკი დაამარცხა.**

ბრძოლა ძალიან დაძაბული გამოვიდა, ორივეს გამარჯვების შანსი ჰქონდა, თუმცა უფრო მოხერხებული 27 წლის ქართველი მებრძოლი გამოდგა, რომელმაც უფრო მეტი გარისკა და შამპანიურიც დაიმსახურა.

ჩვენებურმა ტემპს მეორე რაუნდში მოუმატა და ვოლკანოვსკის ნოკაუტით მოუგო! აღსანიშნავია, რომ მას კონორ მაკგრეგორს ადარებენ და ქართველიც ირლანდიელის გზას გადის. სწორედ კონორი გამოიწვია თოფურიამ გამარჯვების შემდეგ. ვნახოთ როგორ უპასუხებს ირლანდიელი.

ილია თოფურიასთვის ეს MMA-ში ზედიზედ მე-15 გამარჯვება იყო, თან ისე, რომ არცერთი ბრძოლა არ წაუგია და ელ მატადორი დაუმარცხებელია! მის გუშინდელ მეტოქეს რაც შეეხება, ავსტრალიელს ქვემსუბუქ წონაში საჩემპიონო ქამარი ზედიზედ ხუთჯერ ჰქონდა დაცული.



ოქტაგონზე

# ზედიზედ მეათე!



**UFC-ში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა აგრეთვე მერაბ დვალიშვილმა. ქართველმა ჰენრი სეხუდო 3-რაუნდიან ბრძოლაში დაამარცხა და ზედიზედ მეათე მოგება მიითვალა.**

11-თვიანი პაუზის შემდეგ ოქტაგონზე დაბრუნებული მერაბი მართლაც რომ დამაჯერებელი იყო. მან მექსიკელ მეტოქესთან მხოლოდ პირველი რაუნდი დათმო, ისიც მცირე უპირატესობით – 9:10.

სამაგიეროდ მეორე და მესამე რაუნდებში შეუჩერებელი იყო, თანაც ისე მოიგო, თითქოს არც დაღლილა და შუალედებში მარკ ცუკერბერგთან სასაუბროდაც მოიცალა, რომელიც მერაბის დიდი გულშემატკივარია.

საბოლოოდ ჭიდაობის ოლიმპიური და ორი დივიზიონის ყოფილი ჩემპიონი დვალიშვილმა დაამარცხა და ახლა UFC-ში 12-დან 10 გამარჯვება დაუგროვდა, საერთო ჯამში კი მის ანგარიშზე 17 მოგება და 4 მარცხია.

ვნახოთ ვინ იქნება შემდეგი. ქართველი ქამარზე ჩხუბის მოლოდინშია.

ტატამზე

# ეთერის არია



**პაქოს გრანდ სლემის სტარტზე საქართველოს ნაკრებმა ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.**

ქალთა შორის 57 კგ წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეზა **ეთერ ლიპარტელიანმა**, რომელმაც უზბეკი შუკურჯონ ამინოვა, აზერბაიჯანელი ფიდან ალიზადა და თურქმენი მაისა პარდაიევა დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში კანადელ კრისტა დეგუჩთან წააგო, კვარცხლბეკზე ასასვლელად ბრძოლა კი სერბ მარიცა პერიშიჩთან მოუწია, რომელსაც აჯობა და ბრინჯაოს დაეუფლა.

60 კგ წონით კატეგორიაში თემურ ნოზაძემ მექსიკელი არატ ხუარესი და აზერბაიჯანელი თურან ბაირამოვი დაამარცხა, შემდეგ ყაზახ დაურენ სიუკენოვსაც აჯობა, ნახევარფინალში კი საფრანგეთის სახელით მოასპარეზე ლუკა მხეიძესთან დამარცხდა და ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავა, სადაც მისი მეტოქე დოსტონ რუზიევი იყო, მაგრამ მარცხი განიცადა და უმედლოდ დარჩა.

ოვალური ბურთი

# თითქოს იოლად...

**საქართველოს ნაკრებმა რაგბის ევროპის ჩემპიონატის A ჯგუფის ბოლო ტურში ესპანეთის ნაკრებს უმასპინძლა, რომელიც 38:3 დაამარცხა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.**

თავიდან ესპანელები დაწინაურდნენ 21-ე წუთზე ზუსტი ჯარიმით და 37-ე წუთამდე იგებდნენ, სანამ პერანიძემ ლელო არ დადო, რომელიც მატკავამ გარდასახა – 7:3. მეორე ტაიმში „ბორჯღალოსანთა“ უპირატესობა აშკარა იყო და გამარჯვებაც ადვილად მოიპოვეს.

ამრიგად, საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში 14 ქულით იპირველა და ნახევარფინალში B ჯგუფის მეორეადგილოსანს საკუთარ მოედანზე დაუპირისპირდება. რიჩარდ კოკერილის გუნდმა ესპანეთამდე ნიდერლანდები (31:10) და გერმანია (28:17) დაამარცხა.

### საქართველო - ესპანეთი 38:3

ქულები: **0:3 ლოპესი (21), 5:3 პერანიძე (37), 7:3 მატკავა (38), 12:3 ტაბუცაძე (49), 14:3 მატკავა (50), 19:3 საჯარიმო ლელო (55), 24:3 კვესელაძე (68), 29:3 ბაბუნაშვილი (76), 31:3 აბჟანდაძე (77), 36:3 თაფლაძე (79), 38:3 აბჟანდაძე (80).**

## გზა – მარადისობისკენ!



# ქართველი კაცის გამარჯვების სიმბოლო

**საქართველოს საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა – ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 75 წლის ასაკში, მსოფლიოს სპორტული სამყაროს ქართული ლეგენდა, ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი, უბრალოებით გამორჩეული, დაუმარცხებელი ქართველი ფალავანი ლევან თედიაშვილი გარდაიცვალა.**

**ათეული წლების მანძილზე, იგი ტრადიციულ ჭიდაობაში არა მხოლოდ წარმატებით ასპარეზობდა და ჩვენი იდენტობის და თვითმყოფადობის განმსაზღვრელ სპორტის უძველეს ქართულ სახეობას ღირსეულად წარმოაჩენდა, არამედ თავად იყო ქართველი კაცის სიმბოლო, გამარჯვების სიმბოლო. ქართველებს და საქართველოს მსოფლიოს აცნობდა, ბევრი ქვეყნის გულშემატკივარს, სპორტული წარმატებების გარდა, თავისი დიდი ჰუმანურობითაც აღაფრთოვანებდა.**

**განსაკუთრებით მტკივნეულია ლევანის გარდაცვალება ჩვენთვის – მეგობრებისთვის, ვისაც მასთან ხანგრძლივი და მრავალფეროვანი შრომითი ბიოგრაფიის სხვადასხვა ეტაპზე სამსახურებრივი მოვალეობა, თანამოაზრეობა და გულითადი მეგობრობა გვაკავშირებდა. ის ჩვენი დაუვიწყარი ახალგაზრდობის განუყოფელი და ლამაზი ნაწილი იყო.**

**ვიზიარებთ ლევან თედიაშვილის ოჯახის ღრმა მწუხარებას. ვწუხვართ, რომ მისი გარდაცვალებით ჩვენი თაობა, ჩვენი სამეგობრო, კიდევ უფრო გაღარიბდა. ლევან თედიაშვილის ხსოვნა არასოდეს წაიშლება მისი მეგობრების მეხსიერებიდან.**

**დალი აბაშიძე, ვახტანგ აბაშიძე, მარიზა აბრამიძე, თენგიზ აბულაძე, მამუკა ადამია, ანა ალავერდაშვილი, ვადიმ ანასტასიადი, მაყვალა ბერიანიძე, სულიკო ბეჟანიძე, გოდერძი ბუკია, კობა ბუჩუკური, ნოდარ გიორგაძე, გიგლა გოზებია, თემურ გოდერძიშვილი, მალხაზ გოჩაშვილი, ვაჟა გურაბანიძე, ვადიმ დგებუაძე, ზაზა დვალიშვილი, თემზარ ზურიკაშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, ლალი თარიმანიშვილი, ჯემალ ინაიშვილი, ვასილ კადენეცი, ნინო კობახიძე, ლაურა კუტუზიძე, მარინა ლომიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, ჯემალ მარგველიძე, ზაზა მარუაშვილი, ვახტანგ მეზურნიშვილი, უშანგი მეზურნიშვილი, ირაკლი მენაღარიშვილი, გურამ მისაბიშვილი, ნელი ნადარეიშვილი, პაატა ნაცვლიშვილი, ისაკ ნოვრუზოვი, ნუნუკა ოვსიანიკოვა, ჩიტო ომერაძე, იოსებ ორჯონიკიძე, ქეთევან სადრაძე, მანანა სეფიაშვილი, ჯემალ სეფიაშვილი, ომარ სიამაშვილი, ბიძინა სონღულაშვილი, ჭაბუკა სხიერელი, გოგი უგრეხელიძე, მერი ფაჩუაშვილი, ნიკო ქართველიშვილი, თამაზ ქევხიშვილი, ნუგზარ ქევხიშვილი, ირაკლი ქელბაქიანი, სპარტაკ ქობულია, მირიან ყარაულაშვილი, ვახტანგ ყოლბაია, გია შალამბერიძე, ოთარ შამათავა, თემურ შაშიაშვილი, მერი წიკლაური, მერაბ ჭრელაშვილი, მარინა ხარატიშვილი, ბადრი ხატიძე, მანონი ხაჩიძე, ზურაბ ხუნტუა, ილია ხუციშვილი.**

# სექსუალური ძალადობის მსხვერპლი დები, ბიძას ამხილეს

**წლების შემდეგ დარღვეული დუმილი და საზარელი დანაშაულის დეტალები – სექსუალური ძალადობის მსხვერპლი დები, ბიძას ამხილეს. მათ დუმილის დარღვევა და სამართალდამცველებისთვის მიმართვა ბოლო ძალადობიდან 9 წლის შემდეგ შეძლეს. გოგონებმა, სასამართლოში დაკითხვის დროს, უმძიმესი ისტორიები გაიხსენეს. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ დას ბიძა 7 წლის ასაკიდან აუპატიურებდა. 55 წლის მამაკაცს 20-წლიანი პატიმრობა სასამართლომ დაუსწრებლად მიუსაჯა.**

შემზარავი ისტორიის მთავარ გმირებს კამერების წინ საუბარი დღესაც უჭირთ, თუმცა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი დები სასამართლოში უკვე დაკითხეს, მანამდე კი უმძიმესი გამოცდილების შესახებ რადიო „თავისუფლებას" უამბეს.

განაჩენი უკვე გამოტანილია. არასრულწლოვანი დისშვილების მიმართ გარყვნილ ქმედებასა და გაუპატიურებაში ბრალდებულ 55 წლის მამაკაცს მოსამართლემ, დაუსწრებლად, 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლოს განაჩენით კმაყოფილია პროკურატურა, რომელმაც პედოფილიაში მსჯავრდებულზე ძებნა უკვე გამოაცხადა. უცნობია, სად იმყოფება ამჟამად მოძალადე.

# ქართველი პატიმარი საბერძნეთში სამედიცინო დაწესებულებიდან გაიქცა

**საბერძნეთში ქართველი პატიმარი სამედიცინო დაწესებულებიდან გაიქცა. ბერძნული მედიის ცნობით, 43 წლის კაცი, რომელიც მკვლელობასა და ქურდობაშია ბრალდებული, ციხიდან სასამართლო პროცესზე გადაჰყავდათ, რა დროსაც შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში გადაყვანა მოითხოვა.**

ქალაქ ლარისას ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ კი მან კლინიკიდან გაქცევა მოახერხა, თუმცა პოლიციამ ის მალევე დააკავა და კიდევ ერთი ბრალი დაუმატა.

# ფრთხილად, რუსო ტურისტებო, ედგარ აბუხბა თავისუფალია!!!



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული უსაფრთხოების რისკების შესახებ რუსეთის მოქალაქეები გააფრთხილა.

**„აფხაზეთის მოქალაქე ე.გ. აბუხბა, რომელმაც 2019 წელს რუსი ტურისტის მიმართ მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ამ ქვეყნის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით სასჯელის შემსუბუქების შემდეგ გაათავისუფლეს",** – აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულებისა და დამნაშავეებისთვის დაკისრებული სასჯელის მიმართ აფხაზური მართლმსაჯულების ძალიან ლმობიერ დამოკიდებულებას მოწმობს. ცხადია, ეს აფხაზეთის კურორტებზე ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ჩასული უცხოელი სტუმრების უსაფრთხოების რისკებს ქმნის, რის შესახებაც ჩვენ იძულებული ვართ ჩვენი თანამემამულეები გავაფრთხილოთ", – ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. **ვინ არის ედგარ აბუხბა და რა მოხდა 2019 წლის 31 ივლისს?**

ედგარ აბუხბა 18 წლის იყო, როდესაც უმძიმესი დანაშაულის ბრალდებით დააკავეს. ე.წ. მილიციამ ის 2019 წელს გალის რაიონის სოფელ სიდაში დააკავა. აფხაზური მედიის ცნობით, მოქალაქემ დანაშაული სოხუმში ჩაიდინა. მან რუსი ტურისტი გაიცნო, სასეირნოდ დაპატიჟა, შემდეგ კი გაძარცვა და მასზე ფიზიკურად იძალადა.

აფხაზეთის ე.წ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ნათქვამი იყო, რომ სოხუმის მილიციის განყოფილებაში სატელეფონო შეტყობინება შევიდა, რომლის თანახმადაც, საავადმყოფოში მიიყვანეს 20 წლის გოგონა სხეულის მრავლობითი დაზიანებით. გამოძიების ინფორმაციით, ედგარ აბუხბამ 31 ივლისის საღამოს, სოხუმის სანაპიროზე მიტოვებულ შენობაში შეიყვანა გოგონა, სადაც მასზე მუქარით იძალადა, შემდეგ კი მობილური ტელეფონი გასტაცა და მიიმალა. საქმე ორი მუხლით – 126-ე და 158-ე მუხლებით აღიძრა, რაც გაუპატიურებასა და ქურდობას გულისხმობს.

წლებია, რაც აფხაზეთში საკურორტო სეზონი უამრავი პრობლემის ფონზე მიმდინარეობს – ფასთან შედარებით დაბალი სერვისი, მწვავე კრიმინოგენური ვითარება, ნარკომანია, ძარცვა, ყაჩაღობა – ვითარების გამოსწორების გზები კი არ ჩანს...

# ცრუ ტერორისტს ბრალი წარუდგინეს!

**საქართველოს პროკურატურამ ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.**

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 2024 წლის 14 თებერვალს, ბრალდებულმა ქ. ქუთაისიდან ბუდაპეშტში, ავიაკომპანია WizzAir-ის ცენტრალურ ოფისში ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება განახორციელა. კერძოდ, მან ავიაკომპანიას აცნობა, რომ თვითმფრინავის ბორტზე, რეისის ნომრით W66417, რომელიც ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან ბარსელონას მიმართულებით ასრულებდა ფრენას, ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო განთავსებული. აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ, თვითმფრინავი ქუთაისის აეროპორტში მობრუნდა. ადგილზე განხორციელებული შემოწმების შედეგად, ბორტზე ასაფეთქებელი მოწყობილობა ან ნივთიერება არ აღმოჩნდა. დაკავებულ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით წარედგინა (ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია), რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# კონფლიქტი „ქურდულად" გაარჩიეს და...

**შიდა ქართლში „ქურდული სამყაროს" წევრობის ფაქტზე დაკავებულ 6 პირს სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.**

ერთად დასაქმებულ პირებს შორის ურთიერთ შელაპარაკების ნიადაგზე კონფლიქტი წარმოიშვა, რაც მოგვიანებით ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ბრალდებულებმა, კონფლიქტის მოგვარება „ქურდული სამყაროს" წესების მიხედვით გადაწყვიტეს და კრიმინალურ ავტორიტეტებს მიმართეს, რის შემდეგაც მათ შორის „ქურდული გარჩევა" მოეწყო. პოლიციამ ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ ეგრეთ წოდებულ „კანონიერ ქურდებს" უკავშირდებოდნენ.

# მღვდელი, რომელიც ნავალნისთვის პანაშვიდის გადახდას გეგმავდა, დააკავეს

**პეტერბურგში დააკავეს მღვდელი, რომელიც ნავალნისთვის პანაშვიდის გადახდას გეგმავდა. გრიგორი მიხნოვ-ვაიტენკომ 16 თებერვალს განაცხადა, რომ ნავალნისთვის პანაშვიდის გადახდას აპირებდა, მეორე დღეს კი ის სახლიდან გასვლისას დააკავეს.**

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მღვდელი პოლიციის განყოფილებიდან ინსულტის დიაგნოზით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

**„გრიგორი მიხნოვ-ვაიტენკო ინსულტით საავადმყოფოში მოათავსეს. პოლიციის 43-ე განყოფილებაში მისმა ადვოკატმა სასწრაფო დახმარება გამოიძახა. გრიგორი საავადმყოფოში გადაიყვანეს და მისი ჰოსპიტალიზაციის გადაწყვეტილება მიიღეს",** – განაცხადა დეპუტატმა ბორის ვიშნევსკიმ.

# ნავალნის ცხედარი სალეხარდის მორგში იპოვეს!

**„ნოვაია გაზეტა" წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ ალექსეი ნავალნის ცხედარი ქალაქ სალეხარდის მორგში იპოვეს.**

17 თებერვლის მდგომარეობით, მას ექსპერტიზა არ ჩატარებია, თუმცა გამოცემასთან წყარო ამბობს, რომ მას სისხლჩაქცევები აღენიშნება. ის ასევე აღნიშნავს, რომ ჩალურჯებები, შესაძლოა, გულის არაპირდაპირი მასაჟის შედეგად იყოს გაჩენილი.

**„როგორც საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე სასწრაფო დახმარების მუშაკს, შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი დაზიანებები, როგორც მათ აღწერეს, კრუნჩხვით ჩნდება,"** – ამბობს სასწრაფო დახმარების ექიმი.

გილოცავთ!

# მოუთმენლად ველოდებით თქვენს საუკუნოვან იუბილეს!



## თამაზ შილაკაძე – 92

საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტის – შპს „საქგზამეცნიერების" შრომითი კოლექტივი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავს დაბადებიდან 92-ე წლისთავს (2024 წლის 19 თებერვალს), ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს და ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქეს, ბატონ **თამაზ შილაკაძეს!**

გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს, ბატონო თამაზ და გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ბედნიერებას თქვენს მეუღლესთან, შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად, იმრავლოს თქვენმა დინასტიამ.

მოუთმენლად ველით თქვენს დიდ საიუბილეო თარიღს – 100 წლისთავს, რომელსაც, იმედია, ყველანი ჯანმრთელად და ბედნიერად შევხვდებით!

**შპს „საქგზამეცნიერების" თანამშრომლები**



## ელისო ბოლქვაძემ 2024 წლის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა

**კულტურის კომიტეტმა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, 2024 წლის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.**

კომიტეტის თავმჯდომარის ელისო ბოლქვაძის განცხადებით, სამოქმედო გეგმა მოიცავს საკანონმდებლო, საზედამხედველო, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის, ასევე, კომიტეტის ორგანიზაციული განვითარების საკითხებს.

**„კომიტეტის წევრების მიერ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები, ასევე, სფეროების მიხედვით თემატური მომხსენებლების ინტერესები ასახულია სამოქმედო გეგმაში. მასში ყურადღება გამახვილებულია კომიტეტის როლის გაძლიერებაზე,კულტურის სფეროში რეფორმების ინიცირებასა და აქტიურ კანონშემოქმედებით საქმიანობაზე",** – განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.

## აკა მორჩილაძე ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის კანდიდატია!



შვედეთის ნობელის კომიტეტში, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის კანდიდატად ქართველი მწერალი **აკა მორჩილაძე** წარადგინეს.

**შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორთა მიერ, ხმათა უმრავლესობით, შვედეთის ნობელის კომიტეტში, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის კანდიდატად წარდგენილია ქართველი მწერალი აკა მორჩილაძე (გიორგი ახვლედიანი). ვულოცავთ და ვუსურვებთ წარმატებას.**

## ავდეევკის დატოვებას ბაიდენი აშშ-ის კონგრესის უმოქმედობას აბრალებს



**ჯო ბაიდენის განცხადებით, უკრაინის შეიარაღებული ძალები იძულებულები იყვნენ, გასულიყვნენ ავდეევკიდან საბრძოლო მასალის დანაკლისისა და აშშ-ის კონგრესის უმოქმედობის გამო,** – ამის შესახებ განცხადება აშშ-ის პრეზიდენტმა ჟურნალისტების კითხვაზე საპასუხოდ გააკეთა.

ბაიდენი ასევე არ გამორიცხავს, რომ თუ კონგრესი არ დაამტკიცებს უკრაინის ფინანსური მხარდაჭერის ახალ პაკეტს, შესაძლოა, უკრაინამ კიდევ დაკარგოს სხვა ქალაქებიც. მანამდე ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა სატელეფონო საუბარი გამართა უკრაინის ლიდერთან და ხაზი გაუსვა აშშ-ის ვალდებულებას, გააგრძელოს უკრაინის მხარდაჭერა. მან ასევე დაადასტურა აშშ-ის ხელისუფლებისა და ამერიკელი ხალხის ურყევი და მტკიცე მხარდაჭერა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი.

## ვის მოწამვლას აპირებდნენ ბრიუსელში?..



**ბრიუსელში, რამდენიმე სამთავრობო დაწესებულებაში კონვერტებში ტოქსიკური ფხვნილი ბრუცინი იპოვეს. კერძოდ, კონვერტები იპოვეს იუსტიციის მინისტრის ოფისში და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობაში. ყველა პირი, ვისაც კონტაქტი ჰქონდა ტოქსიკურ ფხვნილთან, იზოლირებულია.**

ანალიზმა აჩვენა, რომ კონვერტებში იყო ბრუცინი – ტოქსიკური ფხვნილი, რომელიც სახიფათოა მხოლოდ შესუნთქვის შემთხვევაში. პირები, რომლებსაც ბრუცინთან ჰქონდათ კონტაქტი, თავს კარგად გრძნობენ. კონვერტების გაგზავნის ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

## ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ტუბერკულოზს ებრძვიან

**ივანო-ფრანკოვსკის, ლვოვისა და სუმის რეგიონებში დაიწყეს ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. ამჟამად ეს მეთოდი მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში გამოიყენება.**

როგორც უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის პრეს-სამსახური იტყობინება, ხელოვნური ინტელექტი აანალიზებს რენტგენის სურათებს და პათოლოგიის პოტენციურ უბნებს ფილტვების თერმული რუკის სახით აჩვენებს. ეს დაავადების კერის განვრცობის 1-დან 100%-მდე ალბათობით ამოცნობის საშუალებას იძლევა. აპარატურა უკვე დამონტაჟდა სამი ოლქის ფთიზიოპულმონოლოგიურ ცენტრში. მას ემსახურებიან მედიცინის მუშაკები, რომლებსაც ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის სისტემების გამოყენების ტრენინგი აქვთ გავლილი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ტუბერკულოზი, სიკვდილიანობის მიზეზების ჩამინათვალში, მეორე ადგილზეა. ამავდროულად, უკრაინა შედის იმ ქვეყნების ჯგუფში, სადაც ამ დაავადების მაღალი მაჩვენებელია.

## კადიროვმა შვილი მამამისის სახელობის მედლით დააჯილდოვა

**რამზან კადიროვის 18 წლის შვილი, ახმატ კადიროვი ჩეჩნეთის ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრად დანიშნეს და რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო (რამზანის მამის, ახმატ კადიროვის სახელობის) მიანიჭეს,** – ინფორმაციას ჩეჩნეთის პარლამენტის სპიკერი მაგომედ დაუდოვი ავრცელებს, რომელმაც უმცროს კადიროვს ბაბუამისის სახელობის ორდენი პირადად გადასცა.



აქამდე ახმატ კადიროვს ჩეჩნეთის ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა.


საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
ზორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა"
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 21 თებერვალს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6432; ევრო - 2.8467;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3273;
100 რუბლი - 2.8474; თურქული ლირა - 0.0865;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5545;
1000 სომხური დრამი - 6.5582

**ამინდი 19 თებერვლისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე +11 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე +16 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +2, | დღე +13 |
| თბილისი: | ღამე | +7, | დღე +12 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge